ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გვანცა კვინიკაძე

1990-იანი წლების საქართველოში დაოჯახებული არასრულწლოვანი გოგოები და მათი დღევანდელი გამოწვევები

გენდერის კვლევა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია გენდერის კვლევის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია წულაძე, სოციოლოგიის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018

ანოტაცია

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი შეეხება 1990-იანი წლების ადრეულ ქორწინებას საქართველოში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დამედგინა, თუ რა გავლენა იქონია ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნამ ქალების ცხოვრებაზე. შევეცადე შემესწავლა ის გარემოებები, რომლებიც ქმნიდნენ წინაპირობას არასრულწლოვანების მიერ ოჯახის შექმნისათვის, გარკვეულწილად უბიძგებდნენ ან ხელს უწყობდნენ ამ ნაბიჯის გადადგმას. კვლევის ფარგლებში დავადგინე, რამდენად მზად იყვნენ გოგოები ახალი ცხოვრებისეული გამოწვევებისათვის რომელიც დაკავშირებული იყო ქორწინებასთან და როგორ უმკლავდებოდნენ მათ. ამასთანავე, ვიკვლიე, რა ცოდნა ჰქონდათ გოგოებს დაოჯახებამდე სექსუალური და რეპროდუქციული საკითხების შესახებ. შევეცადე დამედგინა, რამდენად შეძლეს მათ სათანადო განათლების მიღება, პროფესიული განვითარება, ფინანსური და პიროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. კვლევამ საშუალება მომცა დავკვირვებოდი, რა ტიპის პრობლემებს აწყდებოდნენ არასრულწლოვანი გოგოები წარსულში და რამდენად მოახერხეს მათი დაძლევა დღეისათვის.

ნაშრომი ეყრდნობა თვისებრივი კვლევის შედეგებს, რომლებიც ადასტურებს, რომ ადრეულ ასაკში შექმნილ ოჯახში ირღვეოდა ადამიანის საბაზისო უფლებები. გოგოები ხშირად იყვნენ ძალადობის მსხვერპლი, ეზღუდებოდათ განათლების უფლება, რაც შემდგომში ქმნიდა დასაქმების პრობლემას. მათ ექმნებოდათ ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიშ ხასიათს ატარებდა. გოგოების უმრავლესობა მრავალი წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა არასასურველი ურთიერთობებისათვის თავის დაღწევას და საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ რჩებოდა ქორწინებაში, ძალადობის ფაქტების მიუხედავად.

კვლევისთვის ფარგლებში შესაძლებლობა მქონდა დავკვირვებოდი, როგორ შეიცვალა გოგოების ცხოვრება დაოჯახების შედეგად, რა გით შეძლეს მათ პრობლემებიდან თავის დაღწევა და როგორ აფასებენ საკუთარ წარსულს დღევანდელი გადმოსახედიდან.

კვლევის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული ნაშრომის შედეგების გაცნობა იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ადრეული ქორწინების პრობლემაზე მუშაობენ.

სარჩევი

1. შესავალი.....5

2. კვლევის მიზნები და ამოცანები.....9

3. ლიტერატურის მიმოხილვა.....12

4. მონაცემთა ანალიზი 21

5. დასკვნა.....39

ბიბლიოგრაფია 44

დანართი #1 46

დანართი #2 47

1. შესავალი

„მუდმივ წინააღმდეგობაში ვიყავი. რაც მინდოდა, ძალით მიმქონდა. ხელიდან ვგლეჯდი. ამიტომ, მე ვიყავი მუდმივად დამნაშავე, მუდმივად არასწორი! თავისუფალ დროს ვიპარავდი. ვახერხებდი წიგნების კითხვასაც, მეგობრებთან ყოფნასაც, რაღაც-რაღაცეების გამორჩენას და ფიქრს, ბევრ ფიქრს!

გთხოვენ, იყო სანიმუშო დედა, სანიმუშო ცოლი და გაქვს ასეთი ბრძოლა - იბრძვი რომ გადარჩე. მუდამ მქონდა ეს შეგრძნება, რომ მე ვარ ერთი მთელი, მყავს ორი შვილი და ორი მესამედი მე არ მეკუთვნის. ეს ჩემი შვილები მართმევენ ჩემს ორ მესამედს. მუდმივად მქონდა ეს შეგრძნება, რაც იყო ძალიან რთული, ძალიან. თან ძალიან ინტენსიური იყო ამის შეგრძნება. ყოველ წუთას იმიტომ, რომ ფიზიკური დასვენების და ამოსუნთქვის დრო არ მქონდა. იყო მომენტები, როდესაც გულწრფელად მინატრია - ღმერთო, დამაყრუე! იმიტომ რომ სიჩუმე არ იყო. ძალიან რთული იყო ეს ყველაფერი.

ადრეულმა ქორწინებამ დამოუკიდებლად განვითარების ყველანაირი შანსი გადამიჭრა. ყველაფერი, რაც გავაკეთე ამ ოჯახთან ერთად და ამ მოცემულობიდან გამომდინარე. მე იმ პერიოდში ვიყავი საპყრობილეში, შეიძლება ითქვას, და მის შიგნით ხდებოდა ყველაფერი. მე ჩემი ციხე მუდმივად თან დამქონდა. ამან ჩემი ცხოვრების გზა შეცვალა. ამ მოცემულობაში შევძელი ის, რაც შევძელი. მე ახლაც ვიმკი ძალიან დიდი ხანი ტყვეობაში ცხოვრების შედეგებს. ახლაც ვიმკი”!

ნ.ე. 44 წლის

„რაზე ვოცნებობდი? მაგ ასაკში (16 წლის)? იცი, ახლა ეგ შეკითხვა გულზე მომხვდა, მეტკინა… არ ვოცნებობდი! არაფრზე! მერე მინანია, უფრო ძლიერი რატომ არ ვიყავი?!

…ალბათ, იმაზე ვოცნებობდი, რომ დედაჩემი ყოფილიყო ძლიერი. დედა მინდოდა, რომ ყოფილიყო ძლიერი! თან მით უმეტეს, მე რომ გავთხოვდი, არ იყო ჩემთან. მე არ გავთხოვდებოდი, აქ რომ ყოფილიყო. მე არ გავთხოვდებოდი, გამორიცხულია”!

რ.ც. 39 წლის

მოყვანილი ციტატები ეკუთვნით კვლევაში მონაწილე ქალებს, რომლებმაც საკუთარი სურვილის გარეშე, სრულწლოვანების მიღწევამდე შექმნეს ოჯახი, გააჩინეს შვილები და მრავალი წლის განმავლობაში ციდლობდნენ, გამკლავებოდნენ რთულ ოჯახურ პასუხისმგებლობებს. მიუხედავად უამრავი სირთულისა, გაჭირვებისა, ძალადობისა და ზოგ შემთხვევაში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებისა, ისინი დღემდე ებრძვიან წარსულის შედეგებს. ზოგიერთ მათგანს ათწლეულზე მეტი დასჭირდა იმისთვის, რომ ეპოვნა გამოსავალი, თუმცა დღეს ისინი ამბობენ, რომ პრობლემები მეტნაკლებად გადალახულია. ისინი ცდილობენ დაკარგულის ანაზღაურებას. ცდილობენ „იცხოვრონ საკუთარი თავისთვის" და მიისწრაფიან თავისუფლებისკენ, რისი საშუალებაც წარსულში არ ჰქონიათ. ისინი ასწავლიან საკუთარ შვილებს, როგორ აირიდონ თავიდან მსგავსი პრობლემები და, ამავე დროს, გრძნობენ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომ საზოგადოებას ესაუბრონ ადრეული ქორწინების შეუქცევად გამოწვევებზე, რომელთა შედეგების სრულად აღმოფხვრა ზოგჯერ ოცწლეულის გასვლის შემდეგაც შეუძლებელია.

ცოდნა და გამოცდილება, რომელიც კვლევაში მონაწილე ქალებს აქვთ, უნიკალურია. ამ ცოდნის დღის სინათლეზე გამოტანას შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს პრაქტიკული ცვლილებების განხორციელების პროცესში და დაანახოს დღევანდელ თაობას, თუ როგორია ადრეული ქორწინების რეალური შედეგი.

ცოდნა ინდივიდუალური გამოცდილებიდან ყალიბდება მისი სპეციფიური ინტერპრეტაციის საშუალებით, რაც, თავის მხრივ, ადამიანის სოციალურ რეალობასთანაა დაკავშირებული (Brooks & Hess-Biber, 2011). ეპისტემოლოგია არის მეცნიერება ცოდნის დაგროვების შესახებ, „რა ვიცით და საიდან ვიცით" (Leavy, 2014). მას აინტერესებს, როგორ ხდება ცოდნის დაგროვება და რა ურთიერთობები არსებობს ცოდნის მატარებელ სუბიექტებს შორის. ფემინისტური ეპისტემოლოგია გულისხმობს ქალების გაძლიერებას და ცოდნის დაგროვებას მათსავე გამოცდილებაზე დაყრდნობით. მსგავსი ცოდნის საშუალებით, ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, სამყაროს შევხედოთ იმ ქალების თვალით, რომელებიც ამა თუ იმ ტიპის ჩაგვრას განიცდიდნენ. ამავე დროს, მათი გამოცდილება აისახება სოციალურ აქტივიზმსა და ცვლილებებზე (Brooks, 2011). ფემინისტური კვლევის ცენტრი არის ქალი და მკვლევარს აქვს

შესაძლებლობა, მისი ხმა და გამოცდილება ხელმისაწვდომი გახადოს ფართო აუდიტორიისათვის. ასევე, სასურველია მკვლევარს გააჩნდეს გარკვეული ცოდნა და კავშირი საკვლევ საკითხთან.

ჩემს მიერ ზემოხსენებული თემით დაინტერესება და არჩევა განაპირობა პირადმა, თუმცა ირიბმა გამოცდილებამ. მე თავად ვიყავი მოწმე, სკოლაში სწავლის პერიოდში, როგორ უჩინარდებოდნენ ჩემი კლასიდან და სკოლიდან გოგოები. ბევრმა მათგანმა ვეღარასოდეს შეძლო სკოლაში დაბრუნება. ზოგმა მოგვიანებით გააგძელა სწავლა. თუმცა, კვლევამ დაადასტურა, რომ სწავლის გაგრძელება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვდა ახალგაზრდა დედებისაგან.

როგორც აღვნიშნე, ჩემს მიერ დაგეგმილი კვლევა თვისებრივ მეთოდს დაეყრდნო. ამ მეთოდის მთავარი კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას განზოგადების გარკვეული შეზღუდვები გააჩნია და ის ადამიანების სუბიექტურ გამოცდილებას ეყრდნობა. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, ფემინისტი ფილოსოფოსი ელისონ ჯაგერი (2004) ამტკიცებს, რომ ქალთა კვლევები უფრო მეტად ობიექტურია, ვიდრე ნებისმიერი სხვა, რადგან ქალებს აქვთ უნარი, ვითარება შეაფასონ როგორც დომინანტური, ასევე ჩაგრულის პოზიციიდან. მოყვანილი არგუმენტის გასაბათილებლად ისიც უნდა აღვნიშნო, რომ პოზიტივისტური პარადიგმას, რომელიც ობიექტურობაზე, ჭეშმარიტ სიმართლესა და აბსოლუტურ ცოდნაზე აპელირებს, ფემინისტური ფილოსოფია კრიტიკულად აფასებს. პოსტმოდერნისტული და პოსტსტრუქტურალისტური პერსპექტივები, რომლებიც მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებენ სოციალური კონსტრუირების, ინტერპრეტაციის, პლურალიზმის, განსხვავებების და მრავალფეროვნების მნიშვნელობებზე, უფრო მეტად მისაღებია ფემინისტური პრაქტიკისა და თეორიისათვის.

ქალები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ჩაგვრას განიცდიან სხვადასხვა ფორმით და სიმძაფრით. ფემინისტური კვლევის მთავარი მახასიათებელია ის, რომ მისთვის მნიშვნელობა არ აქვს ჩაგვრის ფორმას. ყველა ქალი, რომელსაც სურვილი აქვს შეცვალოს რეალობა, დაძლიოს გენდერული უთანასწორობა და ჩაგვრა, იმსახურებს ხმის უფლებას. იმისათვის, რომ დაიძლიოს სექსისზმი, რასიზმი, ჰომოფობია და

კოლონიალისტური იდეოლოგია, ფემინიზმი მოქნილად იყენებს სხვადასხვა მეთოდებს (ინფორმაციის მოპოვების ტექნიკა) და მეთოდოლოგიას (თეორია, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს კვლევა) (Hesse-Biber, 2007).

ეპისტემოლოგიურ საკითხებზე ყურადღების გამახვილების მიზეზს წარმოადგენს კვლევაში მონაწილე ქალების კითხვაზე პასუხის გაცემა. მათი უმრავლესობა ინტერესდებოდა, თუ რა არის კვლევის მიზანი, რა მნიშვნელობა აქვს მათ გამოცდილებაზე ხმამაღალ საუბარს და ინტერვიუს დასრულების შემდეგ, ჰქონდათ განცდა, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვერ მომაწოდეს. ჩემი აზრით კი, მათი ისტორიები, უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, რასაც უამრავი ქალის და გოგოს ცხოვრების შეცვლა შეუძლია, სააშკარაოზე გამოტანის და სათანადოდ გაანალიზების შემთხვევაში.

ჩემს ნაშრომში განვიხილავ თეორიულ მასალასაც, რომლის საშუალებითაც შევეცდები ავხსნა, თუ რა გარემოებებით იყო განპირობებული ადრეული ქორწინება 90-იანი წლების საქართველოში, რატომ არ იყოს ის აღქმული პრობლემად საზოგადოების მხრიდან და რა ფაქტორები უწყობდა ხელს ამ მჩაგვრელი პრაქტიკის ნორმალიზებას. ამ მიზნისთვის დავეყრდნობი ავტორებს, რომლებიც განიხილავენ ადრეული ქორწინების პრობლემას, პოსტსაბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს, ნაციონალიზმის, რესპექტაბელურობის და სექსუალობისა საკითხებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებში არასრულწლოვანი გოგოების ქორწინება, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, იმიტომ იყო იგნორირებული, რომ ქვეყნის წინაშე იდგა შიმშილის, ომის, ტოტალური განუკითხაობის პრობლემები. დღესაც, ქალების წინაშე ისევ უამრავი საფრთხე არსებობს. ლბტ ქალები ყოველდღიურ რეჟიმში იბრძვიან საბაზისო უფლებებისათვის, მათ შორის სიცოცხლის უფლებისათვის. ფემიციდის, სექსუალური ძალადობის და შევიწროვების მიმართ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, ისევ შემწყნარებლური პოზიცია გააჩნია. გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამომწვევ მიზეზს ქალში ეძებენ და უფლებადამცველ ორგანიზაციებს უწევთ ბრძოლა დამნაშავეთა სათანადო დასჯისათვის. ამიტომ, 90-იანებში „გათხოვილი" არასრულწლოვანი გოგოები ისევ ყურადღების მიღმა არიან. მათი ხმა ისევ არ ისმის.

მათი 25 წლის წინანდელი პრობლემებით ნაკლებად ინტერესდებიან, მიუხედავად იმისა, რომ იმ პრობლემების კვალი კიდევ არსებობს.

ჩემი კვლევის საშუალებით, შევეცდები შევავსო ის ინფორმაციული დეფიციტი, რომელიც 90-იანი წლების ქალთა უფლებრივ მდგომარეობას და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს უკავშირდება.

2. კვლევის მიზნები და ამოცანები

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენდა დამედგინა ის, თუ რა გავლენა იქონია 1990-იან წლებში არასრულწლოვანი გოგოების ქორწინებამ მათ ცხოვრებაზე და როგორ აისახება წარსული გამოცდილება მათ დღევანდელ მდგომარეობაზე. ჩემი ჰიპოთეზის თანახმად,

ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნა ნეგატიურად აისახა გოგოების საბაზისო უფლებებზე. აღნიშნული გამოცდილებამ შეუქცევადი გავლენა მოახდინა გოგოების ცხოვრებაზე, დრამატულად შეცვალა მათი განვითარების გზა, ნეგატიური შედეგების აღმოფხვრას კი მრავალი წელი დასჭირდა.

შერჩევა

სამიზნე ჯგუფი კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე შევარჩიე. საკვლევ ჯგუფს წარმოადგენდნენ ქალები, რომლებმაც ოჯახი შექმნეს თვრამეტ წლამდე ასაკში, 1990-იან წლებში საქართველოში. შერჩევა მოვახდინე მიზნობრივი შერჩევის პრინციპით (Purposive sampling) (Saldana, 2003). აღნიშნული შერჩევის ტექნიკა, საშუალებას აძლევს მკვლევარს მიზანმიმართულად შეისწავლოს კონკრეტული ადამიანების გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია საკვლევ საკითხთან.

თავდაპირველად, ერთმანეთისგან არ გამიმიჯნავს რესპონდენტები, რომლებიც განქორწინდნენ ან ისევ ქორწინებაში იმყოფებიან. თუმცა, კვლევის მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა, რომ განქორწინებული ქალები ადვილად მთანხმდებოდნენ ინტერვიუზე, რეკომენდაციას უწევდნენ ნაცნობებს, გულახდილად საუბრობდნენ საკუთარ წარსულზე და გამოცდილებაზე. ამის საპირისპიროდ, ქორწინებაში მყოფმა ქალებმა უმეტეს შემთხვევაში უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე ან თანხმობის მიუხედავად, ბოლო მომენტში უარი თქვეს შეხვედრაზე. ერთადერთი რესპონდენტი, რომელიც დამთანხმდა ინტერვიუზე, გამოირჩეოდა შებოჭილობით.

მონაცემების მოპოვების და ანალიზის მეთოდები

კვლევის მიმდინარეობის პროცესში ჩავატარე თორმეტი სიღრმისეული ინტერვიუ. რესპონდენტების მახასიათებლები იყო - ამჟამინდელი ასაკი 35-დან 45-მდე, ხოლო დაოჯახების მომენტისათვის 15-დან 17-მდე. ინტერვიუები ჩავწერე თბილისის მასშტაბით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილე ზოგიერთი ქალი სოფლად დაოჯახდა და გარკვეულ ეტაპზე თბილისში გადმოვიდა საცხივრებლად.

ინტერვიუ წარიმართა წინასწარ შედგენილი გზამკვლევის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისაგან. ინტერვიუების მიმდინარეობისას გავაკეთე აუდიო ჩანაწერი (რესპონდენტების თანხმობით). შემდგომ, ჩანაწერის მიხედვით გავაკეთე ტრანსკრიპტები. მოვახდინე მოგროვილი მასალის კოდირება, კატეგორიზაცია, ინტერპრეტაცია და ანალიზი.

მონაცემების დამუშავების პროცესში ვიყენებდი კონტენტ-ანალიზის მეთოდს, რომელიც ტრანსკრიპტებში თავმოყრილი ტექსტებისათვის ყველაზე ლოგიკურად მივიჩნიე. ინტერპრეტაციული მიდგომა გვაძლევს შესაძლებლობას მნიშვნელობა მივანიჭოთ ადამიანის ქმედებებს (Berget, 2001). რესპონდენტების მიერ ინტერვიუს პროცესში აღწერილი აქტივობები და ქმედებები განვიხილე როგორც სიმბოლური მნიშვნელობების მატარებელი ტექსტი. აღნიშნულმა მეთოდმა მომცა საშუალება დეტალურად შემესწავლა ის მინიშნებები, რომლების ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა.

ამასთანავე, ვიყენებდი დისკურსული ანალიზის მეთოდს, რათა შემესწავლა რა ცოდნა და დამოკიდებულებები იყო გავრცელებული ადრეულ ქორწინებასთან მიმართებაში 90-იანი წლების საქართველოში. კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა მომცა შესაძლებლობა დავკვირვებოდი რესპონდენტების, მათი მშობლების, მეგობრების და საზოგადოების დამოკიდებულებებს არასრულწლოვანთა ქორწინების ფაქტთან დაკავშირებით.

დისკურსული ანალიზის სრულყოფილად ჩატარებისათვის საჭიროა სხვადასხვა ფორმატის მონაცემების შესწავლა, რაც გულისხმობს - სამეცნიერო ლიტერატურას, კანონმდებლობას, პერიოდიკას და იმ დროისათვის არსებული დებატებს. ამასთნავე, სასურველია აუდიო-ვიზულური მასალისა და გავრცელებული სოციალური პრაქტიკის გაანალიზებაც (Keller, 2013). ჩემი კვლევის მასშტაბიდან გამომდინარე არ მქონდა შესაძლებლობა ასე კომპლექსურად მეკვლია საკითხი. თუმცა, სიღრმისეული ინტერვიუბიდან ამოღებული მონაცემების და პოსტსაბჭოთა პერიოდის გენდერული როლების გაანალიზებამ თვალნათლივ დამანახა, რომ ადრეული ქორწინება იყო

ნორმალიზებული მოვლენა იმ პერიოდისათვის და არსებული დისკურსი წარმოადგენდა ხელშემწყობ ფაქტორს ამ პრაქტიკის გავრცელების საკითხში.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის პროცესში წავაწყდი ჩემთვის მოულოდნელ პრობლემას. სამიზნე ჯგუფის შერჩევისას განსხვავება არ გამიკეთებია განქორწინებულ და ისევ ქორწინებაში მყოფ ქალებს შორის (იგულისხმება პირველი ქორწინება), თუმცა ინტერვიუების დაგეგმვის პროცესში გამოიკვეთა, რომ ქალები, რომლებიც ისევ ქორწინებაში იმყოფებიან, უარს აცხადებდნენ კვლევაში მონაწილეობაზე, ხოლო განქორწინებული ქალები ენთუზიაზმით მთანხმდებოდნენ.

რამდენიმე რესპონდენტი, რომელიც ისევ ქორწინებაში იმყოფება, დამთანხმდა ინტერვიუს მოცემაზე. პირველი შეთავაზევის დროს გამოიჩინეს შეხვედრის სურვილი, მთავაზობდნენ საკუთარ სახლში სტუმრობას. თუმცა, რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ, დაუსაბუთებლად მეუბნებოდნენ უარს კვლევაში მონაწილეობაზე.

შექმნილ ვითარებას ხელი არ შეუშლია კვლევის პროცესისათის. თუმცა არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ეს ჯგუფი იმსახურებს მეტ ყურადღებას.

3. ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ამ ნაწილში განვიხილავ თეორიულ მასალას, რომლის საშუალებითაც შევეცდები ავხსნა, თუ რა გარემოებებით იყო განპირობებული ადრეული ქორწინება 90-იანი წლების საქართველოში და რატომ არ იყოს ის აღქმული პრობლემად საზოგადოების მხრიდან. ამ მიზნისთვის დავეყრდნობი ავტორებს, რომლებიც

განიხილავენ პოსტსაბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს, ნაციონალიზმის, რესპექტაბელურობის და სექსუალობისა საკითხებს.

ადრეული ქორწინება

გაეროს ბავშვთ ფონდის (UNICEF) განმარტების თანახმად, ადრეული/ბავშვთა ქორწინება გულისხმობს 18 წლამდე არასრლწლოვანთა მიერ ოჯახის შექმნას, რაც ადამიანის უფლებათა დარღვევადაა აღიარებული (UNICEF, 2018). მიიჩნევა, რომ ადრეული ქორწინება ზრდის გოგოების მოწყვლადობას სიღარისბისა და ოჯახში ძალადობის მიმართ. ამასთნავე, იქმნება წინაპირობა სოციალური იზოლაციის, განათლების და კარიერული განვითარების შეფერხებისათვის.

საერთაშორისო სამართლის ნორმები 1945 წლიდან მიგვანიშნებენ ადრეული ქორწინების პრობლემაზე და გასცემენ რეკომენდაციებს რათა სახელმწიფოებმა არ დაუშვან ბავშვთა უფლებების დარღვევა (იგულისხმება 18 წლამდე ადამიანი). გაეროს კონვენციები ბავშვთა უფლებეის (CRC) და ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკვიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) შესახებ (1979), ბავშვთა ქორწინებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად სახელმწიფოს აცხადებენ. ადამიანის უფლებების დარღვევის პარალელურად, კონვენციებში საუბარია გოგოების ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებზე, კერძოდ კი სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე (Alwis, 2007).

საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია კანონით განსაზღვროს ქორწინების რეგისტრაციისათვის საჭირო ასაკის მინიმალური ზღვარი. თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, არასრულწლოვანთა კავშირები დაურეგისტრირებელი რჩება და ამიტომ ვერ ასრულებს შემაფერხებელ ფუნქციას. ფემინისტი მკვლევარი, რანიტა ალვისი, მიიჩნევს რომ კანონები უძლურია ადრეულ ქორწინებასთან ბრძოლაში რადგან ერთის მხრივ ისინი გენდერულად ნეიტრალურია, ხოლო მეორეს მხრივ ქალების ნარატივი და გამოცდილება არ ისმის კანონმდებლებს შორის.

ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკა - გოგოს მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით. აღსანიშნავია რომ მოტაცება საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იყო. ჩემი კვლევის რესპონდენტებიდან 6 სწორედ ამ გზით დაოჯახდა, ხოლო 5 – „გაიპარა". პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში მოტაცება ფართოთ იყო ფავრცელებული და დაოჯახების ერთ-ერთ გზას წარმოადგენდა. ამერიკელი ანთროპოლოგი სინტია ვერნერი ადრეული ქორწინების პრაქტიკას ყაზახეთსა და ყირგიზეთში აკვირდებოდა. მისი აზრით, ქორწინების ეს ფორმა ადგილობრივი აქტორების მიერ იყო რეკონსტრუირებული და მიზნად ისახავდა ძალაუფლების ცენტრის ცვლილებას ქალსა და კაცს შორის (Werner, 2009).

მიუხედავად იმისა, რომ მოტაცების პრაქტიკის გავრცელების არეალი ძალიან დიდია (ევროპაში, აზიაში, ავსტრალიასა და ამერიკაში), პოსტსაბჭოთა ეპოქაში ამ მოვლენის დაბრუნებას, რომელიც საბჭოთა პერიოდში კანონით იკრძალებოდა, მკვლევრები უკავშირებენ ნაციონალისტური დღის წესრიგის გაჩენას და ტრადიციებისაკენ მიბრუნების ტენდენციებს (Gal&kligman, 2000).

ნაციონალიზმი

ნაციონალიზმი პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში წამყვან იდეოლოგიად ჩამოყალიბდა. ნაციონალიზმის მრავალი განმარტება არსებობს. ანა მაკკლინტოკის მიხედვით, ეს არის ისტორიული, ინსტიტუციური პრაქტიკა, რომელიც განსხვავებებს აწარმოებს. ის აყალიბებს ადამიანების იდენტობას და მკაცრად გენდერირებულია, რაც გამოიხატება არათანაბარ უფლებებსა და რესურსების უსამართლო განაწილებაში (McClintock, 2003).

ნაციონალიზმი წარსულზე დამყარებული სიმბოლური კავშირია. ნაციონალისტური იდეოლოგია აერთიანებს წარმოდგენებს ერის შესახებ, დეტალურად აღწერს, თუ ვინ ვართ ჩვენ, რას წარმოვადგენთ, როგორი ტიპის პოლიტიკურ წესრიგს ვემხრობით და აგრეთვე, რა ურთიერთობები გაგვაჩნია სხვა ერ-სახელმწიფოებთან. ხშირად, ნაციონალიზმში გენდერული სხვაობები ქალსა და კაცს შორის ემსახურება სიმბოლური საზღვრის გავლებას და ძალაუფლების განსაზღვრას კაცებს შორის. მიუხედავად იმისა,

რომ ქალი ნაციონალური სიმბოლიკის მატარებელია, მას არ გააჩნია ნაციონალური აგენტობა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ნაციონალიზმის იდეის მნიშვნელობა. ის ადამიანებს აერთიანებს იმისთვის, რომ შემდეგ ამა თუ იმ ნაციის წარმომადგენლებმა მოახდინონ საკუთარის თავის გამიჯვნა „სხვებისაგან." ნაციონალიზმი რამდენიმე ძირითად იდეას ემყარება. ესენია: საერთო სისხლი, ინტერესები, ღირებულებები და ტრადიციები (Nagel, 1998). ამ იდეის ჩამოყალიბებაში სენტიმენტებს და ადამიანურ წარმოსახვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ადამიანები ქმნიან ტრადიციებს და შემდეგ ეს ტრადიციები იქცევიან ლეგიტიმაციის წყაროდ, თუ რა არის სწორი და რა არის ნორმიდან გადახვევა. გენდერული ნორმების რაციონალიზაციაც სწორედ ტრადიციების ჭრილში ხდება მნიშვნელოვანწილად. ტრადიცია გვეუბნება, ვის ვინ უნდა უყვარდეს, ვის რა მოლოდინები უნდა ჰქონდეს, ვინ რა უნდა უნდა გააკეთოს ან რა შესაძლებლობები აქვს თითოეულ ჩვენგანს სქესიდან გამომდინარე. ის, რაც ადამიანების შექმნილი და მოგონილია, საბოლოო ჯამში, ჩვენივე შეზღუდვად იქცევა. არსებული წესრიგით კი სარგებელს ნახულობენ მხოლოდ დომინანტური ჯგუფები, რაც ავტომატურად ზღუდავს და დაქვემდებარებულ პოზიციაში აყენებს ქალებს. ის, თუ რამდენად ძლიერია ნაციონალური სენტიმენტები, პირდაპირ აისახება სახელმწიფოში ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე. სექსუალობის და არსებული ნორმების გაანალიზება ნაციონალიზმის იდეის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელს ხდის სრული სურათის დანახვას (Mosse, 1985).

გენდერული როლები

ნირა იუვალ-დევისისთვისა პრობლემატურია ნაციონალისტური თეორიიდან ქალების გამორიცხვის საკითხი. ასევე, პრობლემას წარმოადგენს კერძო და საჯარო სივრცეების დაყოფაც, რადგან ამგვარი სეპარაცია არ უზრუნველყოფს ძალაუფლების თანაბარ გადანაწილებას და თანასწორობას (Yuval-Davis, 1997). პეტერსონის აზრით, გენდერული როლების განაწილებას საფუძვლად უდევს ლეგიტიმურობისა და სტაბილურობის შენარჩუნება (Taylor, 2000). ამ მიზნისათვის, ხდება ქალის გამწესება „ბუნებრივ" სფეროში, რაც ავტომატურად ნიშნავს მის დასუსტებას და დეპოლიტიზაციას.

ნაციონალიზმითან მჭიდროდაა დაკავშირებული რესპექტაბელურობის იდეა, რომელიც აღნიშნავს სწორ, ღირსეულ მანერებსა და მორალს სექსუალობასთან დაკავშირებით. რესპექტაბელურობის განსაზღვრაში ნაციონალიზმს ძალიან დიდი გავლენა აქვს (Mosse, 1985). ის, თუ რა ითვლება ნორმალურ ან არანორმალურ ქცევად სექსუალობის საკითხებთან დაკავშირებით, ისტორიული განვითარების შედეგია და არა უნივერსალური კანონი. ის მანერები, მორალი და სექსუალობასთან მიმართება, რაც ჩვენ დღეს მარადიულ და ბუნებრივ მდგომარეობად მიგვაჩნია, 200 წლის წინ სიახლეს წარმოადგენდა. მაგალითისთვის, მე-18 საუკუნემდე ჰომოსექსუალობა არ განიკითხებოდა და საზოგადოების მაღალ წრეებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

იმისთვის, რომ „ნორმალურობა" დანერგილიყო, საჭირო გახდა განათლების და პოლიტიკის ცვლილება. ნაციონალიზმი ეხმარებოდა ამ იდეების დამკვიდრებას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი სექსუალური ვნებების შეკავება იყო. ნაციონალიზმი საჭიროებისამებრ იცვლის პოზიციებს ომის და მშვიდობის პოლიტიკასთან მიმართებაში, ტოლერანტობასა და რეპრესიას შორის. ერგება ლიბერალიზმს, კონსერვატიზმსა და სოციალიზმს, თუმცა რესპექტაბელურობის მიმართ ურყევი პოზიცია გააჩნია. რესპექტაბელურობიდან გადახვევა ითვლებოდა „არამამაკაცურად". ნაციონალიზმი აკონტროლებს სექსუალობას და ნებისმიერი ცვლილების შეთვისებას რესპექტაბელურობის გავლით ახერხებს.

ნაციონალიზმი და რესპექტაბელურობა ყველას საკუთარ ადგილს აკუთვნებს - ქალი და კაცი, ნორმალური და არანორმალური, ადგილობრივი და უცხოელი. ამ წესრიგის დარღვევა ქაოსის და არასტაბილურობის ნიშნად მიიჩნევა. აქვე დადგენილია კაცის აქტიური და ქალის პასიური როლებიც. ქალი ნაციის და რესპექტაბელურობის განსხეულებაა. პატრიარქალური ოჯახი ასევე დაკავშირებულია რესპექტაბელურობასთან, სადაც მკაცრადაა გამიჯნული ოჯახის წევრთა ფუნქცია-მოვალეობები. მამას შეთავსებული აქვს მარჩენალის და დისციპლინის ფუნქცია. ოჯახს გააჩნია მინი-სახელმწიფოს დანიშნულება. ის აკონტროლებდა ვნებებს და სექსუალობას.

როგორც აღვნიშნეთ, რესპექტაბელურობა ადამიანებს, პირველ რიგში, ასწავლის სექსუალური ვნებებისგან თავშეკავებას. ადამიანებისთვის სექსი მხოლოდ ოჯახის და რეპროდუქციული მიზნებისთვისაა დასაშვები, სხვა შემთხვევაში ის ცოდვაა. ჩემი აზრით, რესპექტაბელურობა და ნაციონალისტური სენტიმენტების მომძლავრება შესაძლოა გამხდარიყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი იმისა, რომ 90-იან წლებში ახალგაზრდები მასიურად ქმნიდნენ ოჯახებს ადრეულ ასაკში. ერთი მხრივ, ეს მათთვის იყო სექსუალური ვნებების ლეგიტიმური დაკმაყოფილების გზა. მეორე მხრივ, საზოგადოება და მშობლები ქორწინებას აღიქვამდნენ ე.წ. „ბუნებრივი" ფუქციის შესრულებად, რასც წახალისებული იყო მათი მხრიდან.

მიშელ ფუკო სექსუალობის რეპრესიას, ახალი გენდერული როლების ჩამოყალიბებას და ნუკლეარული ოჯახის იდეის განმტკიცებას ჯერ კიდევ ვიქტორიანულ პერიოდს უკავშირებს. ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში გაჩნდა ტერმინი „პოპულაცია," რაც დაკავშირებული იყო ეკონომიკის და ნაციის სიძლიერესთან. სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო დემოგრაფიული ზრდის კონტროლი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ამრიგად, სექსუალობა მოექცა სახელმწიფოს ინტერესების არეალში. წარმოების გაზრდისათვის საჭირო იყო მუშათა კლასის ორგანიზება და გენდერული როლების მკაცრი გადანაწილება (Foucault, 1978). როგორც ვხედავთ, ნუკლეარული ოჯახის არსებული ფორმით შენარჩუნებასა და დემოგრაფიული პროცესების კონტროლის საკითხში, სახელმწიფო გვევლინება ძირითად დაინტერესებულ სუბიექტად. ამასთნავე, რაც უფრო მეტადაა სექსუალობა რეპრესირებული სახელმწიფოს მხრიდან, მით უფრო ვიწროა ე.წ. „მორალური" არჩევანი ადამიანებისათვის და ეს გზა აუცილებლად გადის ოჯახის შექმნაზე.

მმართველობითი სისტემები, რომლებიც ადამიანების კეთილდღეობას და სტაბილურობას უნდა ემსახურებოდეს, ზოგ შემთხვევაში დამატებითი ჩაგვრის მიზეზი ხდება. ძალაუფლების ამგვარი გადანაწილება პატრიარქატის კვლავწარმოების ხელშემწყობ ფაქტორად იქცევა და პირველ რიგში, უარყოფითად აისახება ქალის

ყოფაზე. ასეთ მჩაგვრელ სისტემად შესაძლოა მივიჩნიოთ ნაციონალიზმი და მასთან ერთად - რესპექტაბელურობის იდეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ 1990-იან წლებში ადრეული ქორწინების მომრავლების და ნორმად ქცევის მიზეზი შესაძლოა დაკავშირებული იყოს რამდენიმე საკითხთან. მათ შორისაა ნაციონალისტური სენტიმენტების და რიტორიკის გაძლიერება, რომელიც დომინანტი ერის - ქართველების გამრავლებას ქადაგებდა, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მრავალმილიონიანი იმპერიის ნაწილიდან, საქართველო იქცა მცირე ერად, რომელიც მუდმივი სამხედრო დაპირისპირების წინაშე იდნა. ნაციონალისტური თეორიის თანახმად კი, ომის მოსაგებად ერს ესაჭიროებოდა პოპულაციის გამრავლება. კიდევ ერთ გამომწვევ მიზეზად მიმაჩნია რესპექტაბელურობის იდეა, რომელიც სექსუალური ვნებების შეკავებისკენ მოუწოდებდა ადამიანებს და დასაშვებად მიიჩნევდა მხოლოდ გამრავლების მიზნით განპირობებულ სექსს. მნიშვნელოვანია ასევე რესპექტაბელურობის იდეით წახალისებული ნუკლეარული ოჯახიც, რომელიც ქალის იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. კულტურული და გენდერული ნორმებიდან გამომდინარე, ქალის მთავარ დანიშნულებას ოჯახის შექმნა და მასზე ზრუნვა წარმოადგენდა.

ისტორიული კონტექსტის მიმოხილვა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ქვეყანაში ჩამოშლილი იყო სამართალდამცავი, ეკონომიკური, უსაფრთხოების, განათლების, ჯანდაცვის სისტემები. სახელმწიფო ინსტიტუტები არ ფუნქციონირებდა. კორუფცია და კრიმინალი ყველა მოქალაქის პრობლემას წარმოადგენდა. მოსახლეობის ნდობა ეროვნული მოძრაობის მიმართ ნელ-ნელა შესუსტდა და ქვეყანა კიდევ უფრო დიდ ქაოსში გადაეშვა.

ხელისუფლების სათავეში ზვიად გამსახურდიას მთავრობის მოსვლის პერიოდში, დომინანტური რიტორიკა ანტიიმპერიალისტური და ულტრანაციონალისტური იყო (ბერაია, 2017). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში გაღრმავდა ეთნიკური და კლასობრივი განსხვავებები.

ზვიად გამსახურდიას განდევნისა და სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, 1992 წელს საქართველოში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. მისი პოლიტიკა მნიშვნელონად განსხვავდებოდა წინამორბედისაგან. ის ნაკლებად იზოლაციონისტური იყო, ორიენტირებული იყო შერიგებაზე, თუმცა ნაციონალისტური იდეოლოგია მისთვისაც აქტუალური რჩებოდა. საქართველოში ბიოლოგიურ რეპროდუქციასთან და დემოგრაფიასთან დაკავშირებული დისკუსია მჭიდროდ უკავშირდება ნაციონალისტური იდეოლოგიის მომძლავრებას. პოსტსაბჭოთა ეპოქაშიც ქალის სექსუალობა და რეპროდუქცია კვლავ რჩებოდა მისი კონტროლის მძლავრ მექანიზმად.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საზღვრები პირად და საჯარო სივცეს შორის დროდადრო იცვლებოდა. აქედან გამომდინარე კი იცვლებოდა მასკულინობის, ფემინურობის და ქორწინების ფორმებიც, რადგან გენდერული როლების რეგულირების პროცესში გადამწყვეტი ფუნქცია სწორედ კერძო და საჯარო სფეროდ დაყოფის პროცესს უკავია. აღნიშნული დაყოფა არეგულირებდა საოჯახო პასუხისმგებლობების გადანაწილებას, სექსუალურ ურთიერთობებს, მეგობრობას და პოზიციებს სამუშაო ადგილზე (Gal & Kligman, 2000).

საბჭოთა პერიოდის დეკლარირებული ემანსიპატორული გენდერული პოლიტიკა, რომელმაც არსებითი გავლენა ვერ მოახდინა ქალების გათავისუფლებისა და ნაციონალისტური სენტიმენტების დაძლევის პროცესზე, 90-იანი წლებისთვის რადიკალურად შეიცვალა (Verdery, 1994). კაცი ისევ მარჩენალის როლს დაუბრუნდა, ქალი კი - დიასახლისისას. 1980 და 1990-იან წლებში, „ტრადიციული" გენდერული ნორმებისკენ შემობრუნება, შესაძლოა მივიჩნიოთ წარსული მოდელით განპირობებულ უკან დახევად („ბექლეშად") (Lyon, 2007). ეს პერიოდი, კაცის როლის გაძლერებით და ქალის დასუსტებით გამოირჩეოდა, რამაც ქალები ძლიერი წნეხის ქვეშ მოაქცია.

გენდერულ როლებზე გავლენა იქონია სოციალისტური წყობიდან საბაზრო ეკომომიკაზე გადასვლამ და ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილებამ. სახლის გარეთ დასაქმება ბევრად პრესტიჟულად იქნა მიჩნეული, ვიდრე სახლში შესრულებული საქმე, რაც თავისთავად აისახებოდა ქალის და კაცის პოზიციებზე.

ტრანზიციის პერიოდის წნეხი ყველაზე მეტად ქალებმა იგრძნეს, რადგან სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ის მინიმალური სერვისებიც გაქრა, რაც საბჭოთა პერიოდში ქალის შრომას ამსუბუქებდა. უმუშევრობის ზრდა, პირველ რიგში, ქალებს დაატყდათ თავს და საბოლოო ჯამში, უფრო მეტად მოწყვლადები გახადა ისინი სიღარიბის მიმართ. აღნიშნული პროცესები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობაც აისახა და ამ პერიოდისათვის საგანგაშო ნიშნულამდე დაეცა. ქალები, რომლებიც სამსახურს კარგავდნენ, თვითრეალიზაციისთვის კერძო სფეროს იყენებდნენ. შექმნილ ვითარებაში ქალები და კაცები განსხვავებული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ (Gal & Kligman, 2000).

უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების წინაშე მდგარ ქვეყანაში ბევრი ახალი გამოწვევა შეიქმნა - სამხედრო კონფლიქტები, მოშლილი ინფრასტრუქტურა, ჩამოშლილი ინსტიტუტები, ენერგოკრიზისი და სხვა. ზემოხსენებული პრობლემების ფონზე, ათწლეულების განმავლობაში იგნორირებული და ნორმად ქცეული იყო ე.წ. „ბავშვთა ქორწინების" პრობლემა, რომელსაც მასშტაბური სახე ჰქონდა და მრავალი მოზარდის ცხოვრება კიდევ უფრო დაამძიმა იმ რთულ პერიოდში (ოფიციალური სტატისტიკის მოძიება ვერ შევძელი, რადგან წარსულში შექმნილი ოჯახების დიდი ნაწილი დაურეგისტრირებელი რჩებოდა). არასრულწლოვანთა ქორწინების საკითხი, გარკვეული ფორმით, დღემდე რჩება ჩვენი ქვეყნის პრობლემად, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლიდან თვრამეტ წლამდე ქორწინება საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება.

ამრიგად, ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია და ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში, მოუწოდებდა საზოგადოებას გამრავლებისაკენ, რაც რესპექტაბელურობისა და სექსუალობის ნორმების თანახმად, მხოლოდ ოჯახის შექმნის გზით იყო დასაშვები. საზოგადოების ეს კონტრიბუცია უკეთესი მომავლის გარანტად იყო წარმოდგენილი სახელმწიფოს მხრიდან.

90-იანი წლების საქართველოში არსებული დისკურსის თანახმად, ქალისთვის დაოჯახება და დედობა მთავარ ფუნქციად ჩამოყალიბდა. თუკი ქალი აღნიშნულ წესრიგს ეწინააღმდეგებოდა და უარს ამბობდა ამ გენდერული როლის შესრულებაზე,

რომელიც ბუნების მიერ მინიჭებულ ფუნქციად განიხილებოდა, იგი ავტომატურად დევიანტად გადაიქცეოდა. სახელმწიფოს იდეოლოგია, კულტურილი ნორმები და გენდერული როლები მკაცრად უსაზღვრადვდა ქალს სამოქმედო არეალს. თუკი მას სურდა, რომ ყოფილიყო „კარგი ქალი," მისთვის ერთადერთი გზა ოჯახის შექმნასა და შვილის გაჩენაზე გადიოდა.

3. მონაცემთა ანალიზი

კვლევის ფარგლებში ჩავიწერე 12 სიღრმისეული ინტერვიუ. რესპონდენტების ასაკი დღეისათვის წარმოადგენს 35-დან 45-ს. დაქორწინების მომენტისათვის მათი ასაკი არ აღემატებოდა 17-ს. მათგან მხოლოდ ერთი იმყოფება პირველ ქორწინებაში.

ინტერვიუების საფუძველზე შევძელი ინფორმაციის მოპოვება იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც განაპირობებდა და ხელს უწყობდა ადრეული ქორწინების პრეცედენტების მომრავლებას. ამასთანავე, დავადგინე, რომ არასრულწლოვან გოგოებს ჰქონდათ განათლებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები, ხშირ შემთხვევაში, არ ჰქონდათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, არ გააჩნდათ თავისუფალი დრო, უწევდათ მძიმე საოჯახო საქმის შესრულება, არ გააჩნდათ ფინანსური დამოუკიდებლობა და ამის გამო ხშირად ხელი არ მიუწვდებოდათ საბაზისო საჭიროებებზე. არასრულწლოვან გოგოებს დაოჯახების მომენტისათვის არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია სექსუალობის და რეპროდუქციის საკითხების შესახებ. ამის გამო, ექმნებოდათ ჯანმრთელობის პრობლემები, ზოგ

შემთხვევაში სიცოცხლის რისკის შემცველი. ზემოხსენებულმა პრობლემებმა ნეგატიური გავლენა იქონია ქალების ცხოვრებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ოჯახის შექმნა

ადრეული ქორწინება 90-იან წლებში ძირითად შემთხვევებში „მოტაცების" ან „გაპარვის" შედეგად ხდებოდა. მოტაცება გულისხმობდა გოგოს ნებართვის გარეშე, მოტყუებით ან იძულებით თავისუფლების აღკვეთას და გადამალვას გასაიდუმლოებულ ადგილზე, ცოლად მოყვანის მიზნით. გაპარვა, მოტაცებისგან განსხვავებით, გულისხმობდა, რომ გოგო თანახმა იყო ქორწინებაზე და წყვილი ამ ნაბიჯს მშობლების ნებართვის გარეშე დგამდა. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გოგოები ამბობდნენ, რომ „გაიპარნენ," ჯვარედინი კითხვების დასმის შედეგად ირკვეოდა, რომ მათთვის აზრი არ უკითხავთ ან მოხდა მათი ნებით მანიპულირება. საბოლოო ჯამში, გამოიკვეთა კიდევ ერთი დეტალი - „მოტაცება" გულისხმობდა პრაქტიკულად უცნობი ბიჭის მიერ განხორციელებულ ქმედებას, ხოლო „გაპარვის" შემთხვევებს წინ უძღვოდა გარკვეული ტიკული ურთიერთობები, რომლებიც ხშირ შემთხვევებში გულისხმობდა საჯარო სივრცეებში მოკლევადიან შეხვედრებს, დისტანციურ ურთიერთობას და სატელეფონო საუბრებს. როგორც აღვნიშნე, მოტაცების შემთხვევაში გოგოები ან არ იცნობდნენ მომავალ მეუღლეს, ან იცნობდნენ, მაგრამ არანაირ ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ მათთან. გოგოები თანხმობას სხვადასვა მიზეზით ხსნიდნენ, მათ შორისაა ე.წ. „მოტაცებულის" სტიგმა, რაც დაკავშირებული იყო მძიმე ფსიქოლოგიურ წნეხთან საზოგადოების და ოჯახის მხრიდან.

„ მოტყუებით წამომიყვანა. შემეშინდა მშობლების და სახლში დაბრუნების… წინააღმდეგები იყვნენ, მაგრამ მაშინ მოტაცებულ გოგოს უკან არ აბრუნებდნენ. სირცხვილად ითვლებოდა." თ.ფ.

„პირველ ჯერზე წამომიყვანეს. მშობლებმა მითხრეს, შენ თუ არ გინდა, ჩვენ არავითარ შემთხვევაში ამას არ დაგაძალებთ. მეორედ, მე თვითონაც არ ვიცი რატომ… 27 წლის შემდეგაც არ ვიცი, რამ გამოიწვია ჩემი თანხმობა მაშინ… იმიტომ, რომ საზოგადოების მხრიდან ეს არ აღიქმებოდა კარგად..." მ.ლ.

კვლევაში მონაწილე ორი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მათ გადაწყვეტილებაზე, დაოჯახების შესახებ, გავლება იქონიეს მშობლებმა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით დაინტერესებული იყვნენ შვილების ქორწინებით.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მშობლების დამოკიდებულება გოგოების დაოჯახების მიმართ მკაცრი და ნეგატიური იმ შემთხვევაში იყო ხოლმე, როდესაც მომავალი სასიძოები არასასურველად მიიჩნეოდნენ. მათი პროტესტი და კატეგორიულობა არ უკავშირდებოდა ზოგადად ადრეული ქორწინების ფაქტს. მშობლებისთვის სასიძოები მიუღებელი სხვადასხვა ნიშნით ხდებოდნენ. ეს შესაძლოა ყოფილიყო აკადემიური მოსწრება, გარეგნობა, განქორწინებულის სტატუსი ან სხვა. *„ის იყო განქორწინებული პირველ მეუღლეს და ზოგადად, იყო ცოტა მოძველბიჭო ტიპი. არ მოსწონდათ ამის გამო და არასასურველი სასიძო იყო."* მსგავს შემთხვევებში გოგოს პოზიცია უმნიშვნელო ხდებოდა. მშოვლები გოგოებს უზღუდავდნენ თავისუფლებას და სოციალიზაციის არეალს. მშობლების მხრიდან გამძაფრებული კონტროლი და შეზღუდვები ხდებოდა ქორწინების მაპროვოცირებელი კიდევ ერთი მიზეზი და პროცესებს მნიშვნელოვნად აჩქარებდა. ინტერვიუს მსვლელობისას რამდენიმე რესპონდენტი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მშობლების მხრიდან რომ არ ყოფილიყო ასეთი მკაცრი მოპყრობა, შესაძლებელია რომ მათ ოჯახი არც კი შეექმნათ.

ინტერვიუების მსვლელობისას, რამდენჯერმე გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ 90-იანი წლების საქართველოში იმდენად ერთფეროვანი, არასტაბილური და რთული პერიოდი იყო, რომ ახალგაზრდებს სხვა საქმე არფერი ჰქონდათ თუ არა ოჯახის შექმნა. ამასთანავე, გოგოს მშობლები ცდილობდნენ, დროულად მიებარებინათ შვილი „პატრონისათის," რაც მათ დაოჯახებას გულისხმობდა. მშობლები თავად ვერ აცნობიერებდნენ იმ საფრთხეებს, რომლებიც ადრეულ ქორწინებასთან იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი რესპონდენტი, ადრეულ ქორწინებაზე საუბრისას იყენებს ჟარგონს „პრასვეტი," რომელიც 90-იანი წლების თბილისურ მეტყველებაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული. აღნიშნული სიტყვა რუსული წარმოშობისაა, თარგმანში გამონათებას ნიშნავს და აღნიშნავდა მოულოდნელ, სასიამოვნო თავგადასავალს. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ „ბნელ 90-იანებში" „გათხოვება იყო ერთადერთი

პრასვეტი” იმისათვის, რომ ახალგაზრდა ადამიანს საკუთარი ერთფეროვნება შეეცვალა. *„მაგ ასაკში მოგწონს, როცა ვიღაცას ძალიან უყვარხარ. გგონია, რომ ეს საკმარისია.”* - აღნიშნა ერთერთმა რესპონდენტმა. ამასთანავე, გოგოებს ამ ერთფეროვან რეალობაში თავბრუს ახვევდა და ხიბლავდა თაყვანისმცემლების აქტიურობა და საჩუქრები, რომლებიც მათ მოხიბლვას ისახავდა მიზნად. *„გავიხედავდი და ცეცხლის გული ენთო. სახურავიდან იასამნის თაიგული ჩამოდიოდა. სადაც წავიდოდი, საჩუქარი მხვდებოდა. ახლა შეიძლება თქვან - ოფ, მერე რა. მაშინ ეს რაღაც იყო… რაღაც ფაქტორებმა იმოქმედა. რომ გითხრა ძალიან მიყვარდა, არა”!* - ქალი იხსენებს საკუთარ წარსულს და თავგადასავლებს, რომელიც 14 წლის ასაკში გადახდა.

ამასთანავე, კვლევაში მონაწილეების უმრავლესობა საუბრობს საკუთარი გადაწყვეტილების გაუცნობიერებლობაზე და ქორწინებასთან დაკავშირებული სირთულეების არცოდნაზე. ყველა ქალი აღნიშნავდა, რომ დაახლოებითი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ დაოჯახების მომენტისათვის, თუ რას გულისხმობდა ოჯახის შექმნა. მათი წარმოდგენები იყო რომანტიზებული და არ შეესაბამებოდა რეალობას. კვლევაში მონაწილე ქალების აზრით, მათ რომ წინასწარ ჰქონოდათ გაცნობიერებული, თუ როგორ შეიცვლებოდა მათი ცხოვრება და რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდნენ, ისინი ყველანაირ ღონეს იხმარდნენ, წინააღმდეგობას გაუწევდნენ და არავითარ შემთხვევაში არ შექმნიდნენ ოჯახს. საოჯახო პასუხისმგებლობების პარალელურად, მათ პრობლემა ექმნებოდათ მეუღლესთან ურთიერთობებშიც. ერთ-ერთი რესპონდენტი ამას „შეყვარებულის მეტამორფოზას” უწოდებს, თუმცა ეს ალბათ პიროვნების ცვლილებასთან ერთდ რეალურ გაცნობასაც გულისხმობს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ქორწინებას ძალიან შეზღუდული ურთიერთობები უძღოდა წინ. მოკლე და ფრაგმენტული შეხვედრების განმავლობაში, გოგოები ვერ ახერხებდნენ მომავალი მეუღლის გაცნობას. ამას ემატებოდა ასაკობრივი ფაქტორიც და შედეგად ვიღებდით ორი, ერთმანეთისათვის უცნობი ადამიანის მიერ შექმნილ ოჯახს, რომელიც წინასწარ იყო განწირული პრობლემებისათვის.

წარსულის გახსენებისას და ქორწინებაზე საუბრისას, კვლევის მონაწილეები იყენებენ ისეთ გამონათქვამებს, როგორიცაა - „ოჯახობანას თამაში,” „თოჯინა,” „სათამაშო,” „თამაში” და „თავგადასავალი.” დაოჯახების შემდგომ პერიოდზე საუბრისას კი

იყენებენ სიტყვებს - „ტყვეობა," „ციხე," „მონობა" და „მოსამსახურე." თუკი, ტრანსკრიპტებიდან ამოღებულ მონაცემებს კონტენტ ანალიზის პრინციპით განვიხილავთ (Prior, 2014) და შევეცდებით, თითოეული ნათქვამი სიტყვის მიღმა დავინახოთ სიმბოლური მნიშვნელობა, რომელზეც რესპონდენტები წინასწარი განზრახვის გარეშე მიანიშნებენ, ადვილად აღმოვაჩენთ, რომ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული წარმოდგენები დაოჯახებასთან დაკავშირებით სრულიად აცდენილია რეალობას. ოჯახის შექმნამდე რესპონდენტების წარმოდგენაში არსებული მითები და პოზიტიური მოლოდინები ძალიან მალე იმსხვრეოდა. ქორწინებასთან დაკავშირებით რომანტიზებული წარმოდგენები სწრაფ ტრანსფორმაციას განიცდიდნენ და უკიდეურესად არასასიამოვნო გამოცდილებად ყალიბდებოდნენ. ჩემი რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ რეალობის გასაცნობიერებლად მათ დაახლოებით ერთი თვე დასჭირდათ. მხოლოდ ერთთვიანი თანაცხოვრება აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის რომ ყველა ილუზია დამსხვრეულიყო და რეალობისთვის გაესწორებინათ თვალი.

გარდა იმისა, რომ ახალგაზრდებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა ტიპის ვალდებულებებთან და პასუხისმგებლობეთან იყო დაკავშირებული ოჯახი, კიდევ ერთ მიზეზად გოგოები სქესობრივ მომწიფებას, სექსუალური პარტნიორის ყოლის სურვილს და ინტერესს უკავშირებენ. რამდენიმე რესპონდენტი ღიად საუბრობს ე.წ. „ჰორმონალურ ქორწინებაზე." მათი აზრით, შეზღუდვები, რომელიც დაკავშირებული იყო სექსუალური პარტნიორის ყოლასთან, კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც არასრულწლოვანებს დაქორწინების სურვილს უჩენდა. *„მე რომ ვყოფილიყავი თავისუფალი ტიპი, შემძლებოდა სქესობრივი ცხოვრებაც მასთან, შეიძლება 5-6 თვე გაგვექაჩა და მერე რაღაცაზე გვეჩხუბა, ასე დამთავრებულიყო ყველაფერი"* - ამბობს კვლევის მონაწილე.

იმ პერიოდისათვის, სექსუალობასთან დაკავშირებული ნორმების თანახმად, თუკი ახალგაზრდები ოჯახის მიღმა დაამყარებდნენ სქესობრივ კავშირს, მათ უფროსები აიძულებდნენ ოჯახის შექმნას. „ქალიშვილობა" გოგოსთვის დაოჯახების სავალდებულო წინაპირობად იყო მიჩნეული. კვლევაში მონაწილე ორმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მოტაცების შემდეგ მშობლებმა მათ პირველ რიგში ჰკითხეს „რამე ხომ არ

მოხდა თქვენს შორის" და მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდნენ, ჰქონდა თუ არა გოგოს მომავალ მეუღლზე დაქორწინების სურვილი. მსგავს შემთხვევაში, არავინ ინტერესდებოდა, ხომ არ ჰქონდა სქესობრივ ურთიერთობებს ძალადობრივი ხასიათი, რადგან ქორწინება გაუპატიურების შემთხვევებსაც გადასწონიდა და ძალადობასაც ნორმალურობის ფარგლებში აქცევდა.

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვანი გოგოები ოჯახს ქმნიდნენ საკუთარი ნების გარეშე. მათ არ ჰქონდათ რეალური წარმოდგენები ოჯახთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებზე და მშობლები კი არასათანადო როლს ასრულებდნენ ამ ვითარებაში. მათ ვერ შეძლეს ადრეული ქორწინების პრობლემის გაანალიზება და შვილებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება ოჯახური ცხოვრების სირთულეების შესახებ. ისინი შემოიფარგლებოდნენ აკრძალვებით, მათთვის არასასურველად მიჩნეულ შემთხვევებში. ადრეულ ქორწინების ხელისშემწყობ ფაქტორად მოგვევლიან ის კულტურული ნორმაც, რომელიც ახალგაზრდებს ერთმანეთის უკეთესად გაცნობის შესაძლებლობას ართმევდა და მხოლოდ დისტანციური ურთიერთობების შესაძლებლობას აძლევდა. გენდერული როლები და სექსუალობასთან დაკავშირებული ნორმები იქცა მთავარ მიზეზებად, რომელიც საფუძვლად დაედო ქალების მრავალწლიან ჩაგვრას.

კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი პირდაპირ ან ირიბად ამბობს, რომ დაოჯახების სურვილი არ ჰქონდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოხდა მათი ნებით მანიპულირება. ისინი ასახელებენ ძირითად ფაქტორებს, რომელიც მოქმედებდა მათ პოზიციაზე - **მოტაცებულის სტიგმა, მშობლების მკაცრი კონტროლისათვის თავის დაღწევა, უფროსი ადამიანების ზეგავლენა, რომანტიზებული წარმოდგენები ოჯახური ცხოვრების შესახებ და არსებული ერთფეროვანი ცხოვრებიდან გაქცევა**.

ოჯახური ურთიერთობები და მოვალეობები

არასრულწლოვანი გოგოები, რომლებიც ქმნიდნენ ოჯახს, უმეტესწილად გაფართოებულ ოჯახში, ქმრის ან საკუთარ მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ. ერთი,

გამონაკლისის გარდა, არც ერთ წყვილს არ ჰქონდა დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობა. ეს გარემოება დამატებით ფსიქოლოგიურ წნეხს ქმნიდა გოგოებისათვის. *„ეს უცხო ოჯახი, ეს გარემო, რომელიც არ მინდოდა, ეს პიროვნება, რომელიც არ მინდოდა. სხვა მიყვარდა. ასაკით პატარა ვიყავი (16 წლის). ამას ყველაფერს გადახარშვა…ძაან დიდი სტრესი იყო"* - ამბობს კვლევის მონაწილე.

როგორც რესპონდენტები აღნიშნავდნენ, დაოჯახებამდე ისინი საკუთარ ოჯახებში იბრძოდნენ საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის, ცდილობდნენ ესწავლათ დამოუკიდებლად არსებობა და მშობლებს უმტკიცებდნენ, რომ უკვე გაიზარდნენ. სწორედ ამ ფონზე ისინი აღმოჩნდნენ სხვა ოჯახებში, ახალი სტრესებით და ვალდებულებებით დატვირთული. შვილების დაბადებამ კი საბოლოოდ წაართვათ მათ დამოუკიდებლობა და თავისუფლება, თანაც მრავალი წლით.

ამასთანავე, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საოჯახო საქმე ძალიან დიდი ფიზიკური დატვირთვა იყო მათთვის და რომ არა ოჯახის წევრების დახმარება, ვერ წარმოუდგენიათ, როგორ გაართმევდნენ თავს. უმეტეს შემთხვევაში, დახმარებას მათ დედები, იშვიათად დედამთილები უწევდნენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან დიდი ფიზიკური შრომა უწევდათ. *„მე ვიყავი 42 კილო. მუმია! და ძალიან ბევრი საქმე მქონდა. თუ არ შეგიძლია, ლექციებზე ნუ დადიხარ, ნუ სწავლობო - მეუბნებოდნენ. ეს ხომ ქალის საქმეა და ნუ სწავლობო. 18 წლის ორსულად ვიყავი. მიზეზობა მქონდა და უამრავი საქმე მქონდა. მე შემიძლია ვთქვა, რომ დღეღამეში 3-4 საათი მეძინა 4 წელი იმიტომ, რომ ვსწავლობდი და თან უნდა მერეცხა."* - ამბობს რესპონდენტი.

დედობის გამოცდილება

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლების საქართველოში უკიდეურესი გაჭირვება იყო ყველა მიმართულებით და ჩემი რესპონდენტების გარკვეულ ნაწილს ჰქონდა შეზღუდვა საბაზისო საჭიროებებზე (გათბობა, საკვები, სამედიცინო მომსახურება და სხვა), ზოგი კი სწავლობდა და ძალიან დატვირთული რეჟიმი ჰქონდა, არცერთი მათგანი არ განიხილავდა ბავშვის გაჩენისგან თავის შეკავების შესაძლებლობას. მიიჩნეოდა, რომ ოჯახის შექმნისთანავე გოგოებს

უნდა გაეჩინათ შვილები. იმ შემთხვევებში, თუ 2-3 თვის შემდეგ გოგო არ დაორსულდებოდა, იგი მიიჩნეოდა უშვილოდ, მიჰყავდათ ექიმთან, რაც დამატებითი სტრესის მიზეზი ხდებოდა. გოგოები აღნიშნავენ, რომ ჰქონდათ მოლოდინი, რომ დაოჯახებიდან პირველივე თვეს უნდა დაორსულებულიყვნენ და რაც შეიძლება მალე გაეჩინათ შვილი. რამდენიმე რესპონდენტმა საუბრისას აღნიშნა, რომ დაორსულებას დაოჯახების მომენტიდან ელოდებოდნენ. *„სხვათა შორის, ძალიან მინდოდა შვილი. მეორე თვეს დავჩი და პირველ თვეს რომ ციკლი მომივიდა, ძალიან მეწყინა და ვიდარდე კიდეც. მეგონა, რომ პირველივე თვეს უნდა დავრჩენილიყავი და მალევე უნდა გამეჩინა შვილი."* - ამბობს ქალი, რომელიც დაოჯახების მომენტისათვის 15 წლის იყო.

გოგოების ამგვარი დამოკიდებულება და მოლოდინი მნიშვნელოვანწილად ნაკარნახევი იყო საზოგადოების მხრიდან. *„პირველი ბავშვი რომ მომცილდა, 6 თვე არ შეიძლებოდა დაორსულება და ყველა მეკითხებოდა, ორსულად ხომ არ ხარო. 16 წლის ასაკში… ხარ თუ არა ორსოლად… და მეც მინდოდა, რომ ვყოფილიყავი, რაც შეიძლება სწრაფად"!* - ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

კვლევაში მონაწილე ყველა ქალი აღნიშნავს, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა დედობის პასუხისმგებლობის, სირთულეების და მოვალეობების შესახებ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ გაცილებით გვიან გააცნობიერეს საკუთარი პასუხისმგებლობა. ქალების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ბავშვის გაჩემის მომენტამდე არ იცოდნენ თუ როგორ უნდა მოევლოთ შვილისათვის. მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ რამდენ შეზღუდვასთან, ფიზიკურ დატვისთვასთან და ფსიქოლოგიურ სტრესთან იყო დაკავშირებული შვილის აღზრდა.

მამის როლი

რესპონდენტები განსხვავებულად ახასიათებდნენ მამის ჩართულობას ბავშვის აღზრდის პროცესში. ზოგი აღნიშნავდა, რომ მამა არანაირად არ მონაწილეობდა, მონაწილეობდა მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფის კუთხით ან მიიჩნევდნენ, რომ ძალიან აქტიურად იყო ჩართული შვილების აღზრდაში. ინფორმაციის დაზუსტების

შემდეგ დადგინდა, რომ ის მამებიც კი, რომლებიც „კარგ მამებად” იყვნენ მიჩნეულები, შვილების ჰიგიენის, ავადმყოფობის ან კვების საკითხში მონაწილეობას არასოდეს იღებდნენ. მათი ურთიერთობა შვილებთან გულისხმობდა თამაშს, გასეირნებას ან წიგნის წაკითხვას. რაც მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებაში არსებობდა კონკრეტული მოლოდინები, თუ რა ფუნქცია შეიძლებოდა შეესრულებინათ მამებს და რა არა. ე.წ. „შავი სამუშაო” მკაცრად განისაზღვრებოდა დედის ფუნქციად.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთმა რესპონდენტმა ინტერვიუს მსვლელობისას ხაზი გაუსვა დედამთილის როლს, მამის ჩართულობასთნ დაკავშირებით. ს.დ.-ს მონაყოლის თანახმად, დედემთილი კატეგორიულად უკრძალავდა მას ქმრისთვის დახმარების თხოვნას ბავშვებთან დაკავშირებით. 22 წლის ასაკში, ჩემი რესპონდენტი დამოუკიდებლად ზრდიდა სამ მცირეწლოვან ბავშვს. მას არ ჰქონდა უფლება საკუთარი ქმრისთვის და შვილების მამისათვის ეთხოვა ბავშვის დაჭერა ან გასეირნება.

ძალადობა

რესპონდენტებიდან რამდენიმემ აღნიშნა, რომ წარსულში იმყოფებოდა ძალადობრივ ურთიერთობებში. საუბრისას ქალების აღნიშნავდნენ - ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ძალადობას და იძულაბას. არცერთ მათგანს არ უხსენებია სექსუალური ძალადობა ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი აღნიშნავდა, რომ ქმარი არასოდეს ყვარებია და ოჯახის შექმნის მომენტიდან ელოდნენ განქორწინების დღეს.

კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ორჯერ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელოაბა. ამის მიზეზად ის მეუღლის მიერ ნარკოტიკების მოხმარების გამოცდილებას და ძალადობას ასახელებს. მეორე რესპონდენტი კი განქორწინებას მისი გადარჩენის მიზეზად ასახელებს და ამბობს, რომ დღეს ცოცხალი აღარ იქნებოდა იგივე ქორწინებაში რომ დარჩენელიყო.

ეჭვიანობის ნიადაგზე გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომელზეც ქალები საუბრობენ. თ.ბ. ყვება, რომ 7 წლიანი ქორწინების დასრულების შემდეგ, 24 წლის ასაკში პირველად გამოვიდა ქუჩაში მეგობრებთან ერთად და გააცნობიერა თუ რას ნიშნავს თავისუფლად, შიშის გარეშე სეირნობა.

განქორწინება

ქალები ასევე საუბრობდნენ განქორწინების მომენტში საზოგადოების მხრიდან არსებულ წნეხზე. ქალისთვის ნორმალურ ქცევად მიიჩნეოდა ოჯახის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. სამი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მრავალი წლის განმავლობაში ვერ შეძლეს არასასურველი ურთიერთობისთვის თავის დაღწევა, რადგან საზოგადოება მათ ქმრებს პოზიტიურ ტიპაჟებად მიიჩნევდა და ამიტომ, მათ ერთგვარი ლეგიტიმური მიზეზის ძიებას წლები მოანდომეს, რათა საზოგადოებისათვის აეხსნათ საკუთარი ნაბიჯი და განქორწინების მიზეზი. *„თავიდან იყო ასე: ძალიან კარგი ქმარი გყავს, არ ეწევა, არ სვამს, ქურდი არ არის, ბანდიტი არ არის, ოჯახის კაცია/ბიჭია. ის რომ მე ეს ადამიანი არ მიყვარს და არაფერი არ მაქვს საერთო, არაფერი საერთოდ! ორ სხვადასხვა პოლუსზე ვართ, არ იყო საკმარისი”* - ამბობს ნ.ე.

ამრიგად, როგორც ვხედავთ ქალის პირადი განცდები, სურვილები და გრძნობები უგულვებელყოფილი იყო როგორც დაქორწინების მომენტისათვის, ასევე მრავალი წლის შემდეგაც, როდესაც ქალებს განქორწინების გადაწყვეტილეაბ ჰქონდათ მიღებული.

ფინანსური მდგომარეობა

დაოჯახების მომენტისათვის არცერთ წყვილს არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი და მთლიანად მშობლებზე იყვნენ დამოკიდებული. ქალების უმრავლესობას დამოუკიდებელი შემოსავალი მხოლოდ განქორწინების შემდეგ გაუჩნდა. კვლევაში მონაწილე ერთადერთმა რესპონდენტმა, რომელიც ისევ პირველ ქორწინებაში

იმყოფება, აღნიშნა რომ სწავლასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არასოდეს ჰქონია. მან მუშაობა დაოჯახებიდან ათი წლის შემდეგ, 27 წლის ასაკში დაიწყო და როგორც თავად აღნიშნავს, ამ მომენტიდან გაუჩნდა საკუთარი შემოსავალი.

ფინანსური დამოუკიდებლობის არქონა ძალიან მძიმე წნეხი იყო გოგოებისათვის. ხშირ შემთხვევაში, ეს გარემოება იყო მეუღლის მხრიდან მანიპულირების და კონტროლის საშუალება. ქალები აღნიშნავდნენ, რომ ხშირ შემთხვევაში ეს იყო მიზეზი, რის გამოც არასასურველ ქორწინებაში რჩებოდნენ და ვერ იღებდნენ განქორწინების გადაწყვეტილებას.

ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც ოცი წლის შემდეგ წამოვიდა ოჯახიდან ამბობს, რომ მუდმივად ჰქონდა შიში, რომ შვილებს ისეთ პირობებს ვერ შეუქმნიდა, როგორც მათ მამის სახლში ჰქონდათ და ამის გამო მასთნ არ დარჩებოდნენ. მისი შიშები გამართლდა, და განქორწინებიდან მალევე, უფროსი შვილი მამის სახლში დაბრუნდა. სახლი რომელიც ჩემი რესპონდენტის მეუღლის საკუთრებაში დარჩა, მათ თანაცხოვრების პერიოდში შეიძინეს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 90-იანი წლების საქართველოში საკვების არქონა, ელექტროენერგიაზე, გათბობაზე და წყალზე შეზღუდვა, ყოველდღიურობას წარმოადგენდა. პრობლემები იყო სამედიცინო სერვისების წვდომასთან და ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებითაც. ამ ვითარებაში არასრულწლოვანი გოგოები ყველაზე უფრო მოწყვლადები იყვნენ სიღარიბის მიმართ.

განათლება

კვლევაში მონაწილე 12 ქალიდან ცხრას აქვს უმაღლესი განათლება, ერთს - საშუალო, ორს კი - არასრული საშუალო განათლება. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ პროფესიის შეცვლა მოუწიათ, რადგან დაოჯახების გამო ვერ შეძლეს სათანადად დაუფლებოდნენ პირველ პროფესიას. ჩატარებული კვლევის შედეგი ცალსახად მიუთითებს, რომ არასრულწლოვანი გოგოები ვერ ახერხებდნენ სწავლის, საოჯახო საქმის და ფინანსურ გამოწვევებთან გამკლავების შეთავსებას. ზოგიერთ მათგანს

სწავლის შეწყვეტა მოუხდა. ზოგმა ფორმალურად შეძლო დიპლომის აღება, თუმცა ცოდნა ვერ მიიღო, რადგან ფიზიკურად ვერ ახერხებდნენ სასწავლო დაწესებულებებში სიარულს. ამის მიზეზი ზოგ შემთხვევაში იყო ფინანსური გაჭირვება, შვილი, ქმრისგან მომდინარე შეზღუდვა, ოჯახის წევრების ნეგატიური დამოკიდებულება ქალის სწავლისადმი. *„დავდექი გარიცხვის წინაშე. ეს იყო შოკი! შოკი ჩემი ოჯახისთვისაც და ჩემთვისაც. მე ისეთი მაღალი ქულებით მოვეწყვე უნივერსიტეტში, 10 წლის მანძილზე ვეკიდე ფრიადოსნების დაფაზე სკოლაში და უცბად მრიცხავენ უნივერსიტეტიდან. აკადემიური ავიღე. სანამ ეს აკადემიური წელი გაივლიდა, ჩემი ქორწინებაც დასრულდა, თორემ მე არ ვიცი, როგორ შევძლებდი სწავლის დასრულებას. შეიძლება ვერ დამესრულებინა იმიტომ, რომ ჩემი ქმრის დამოკიდებულება სწავლის და ჩემი გარეთ სიარულის მიმართ არ შეიცვლებოდა" - ამბობს მ.ლ.*

დაოჯახება პირდაპირ აისახებოდა ყველაზე წარმატებული სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზეც კი. ხარისხიანი განათლების მიღება შეძლეს მხოლოდ იმ გოგოებმა, რომლებმაც შვილები გასაზრდელად სრულად გადააბარეს მშობლებს. დღეს ყველა მათგანი სინანულით და დანაშაულის გრძნობით აღნიშნავს, რომ უსამართლო ექსპლუატაციას უწევდნენ საკუთარ დედებს, რომლებიც 40-45 წლის იყვნენ მაშინ. არასრულწლოვანი დედების მშობლებმა, მათთვის ყოფის შემსუბუქების მიზნით, იტვირთეს შვილიშვილების გაზრდა და ზოგ შემთხვევაში, უარი თქვეს საკუთარ კარიერაზე. დღეს, ჩემი რესპონდენტები განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან დედების მხრიდან გაღებულ ამ მსხვერპლს, რადგან ამჟამად იმდენივე წლის არიან, რა ასაკშიც მათი დედები იმყოფებოდნენ.

როგორც აღვნიშნე, განათლებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე სხვადასხვა დოზით ყველა რესპონდენტი საუბრობს. განსაკუთრებით თვალშისაცემია გოგოების განცდები და შეფასებები. *„ბრძოლა სწავლისთვის... მე ბრძოლას დავარქმევ. მე ვიყავი დაცინვის ობიექტი. როდის მორჩებიო, მეუბნებოდნენ. მე კიდე არ ვწყვეტდი სწავლას და ვიყავი აგრესიის, ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ, დაცინვის საგანი." (ნ.ე.)*

განათლებაზე საუბრისას თვალსაჩინო გახდა ორი პრობლემა. ერთი უკავშირდებოდა დროის სიმცირეს საოჯახო პასუხისმგებლობების გამო. სწავლის პროცესის შეთავსება

არსებულ მოვალეობებთან შეუძლებელი იყო. მეორეს მხრივ, კი გამოიკვეთა საზოგადოების და ოჯახის წევრების დამოკიდებულება ქალის განათლების მიმართ, რომლის თანახმად ქალს რომელმაც ოჯახი შექმნა, განათლება აღარ ესაჭიროებოდა. *„დედაჩემმა მითხრა, რა დროს სწავლაა, ახლა გათხოვდი, მორჩაო! დედამთილიც 5 წელი, სანამ ვსწავლობდი, მაგას მეჩიჩინებოდა, რა დროს სწავლააო. მეცო, რომ გავთხოვდიო, სწავლას თავი დავანებეო. მოითხოვდა ჩემგან." (ს.დ.)*

ქალებს უწევდათ არჩევანის გაკეთება კერძო და საჯარო სფეროებს შორის და თუკი მათ ოჯახი ჰქონდათ შექმნილი, უმეტეს შემთხვევებში კერძო სფერო უალტერნატივოდ იყო მეჩნეული.

აღსანიშნავია, რომ მძიმე მოვალეობების მიუხედავად კვლევაში მონაწილე ქალები მაქსიმალურად ცდილობდნენ სწავლა გაეგრძელებინათ. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მისთვის სწავლა ერთგვარი გამოსავალი და გადარჩენის იმედი იყო. *„განათლების კომპონენტი რომ მუშაობდა ამას ვგრძნობდი და ჩემი სასაყრდენი ეს იყო. იცი როგორ ვმეცადინეობდი? გიჟივით! აი გადარჩენის ერთი შანსი რომ გაქვს და ებღაუჭები. ბავშვებს დავაძინებდი და ერთი წამი არ გავჩერებულვარ. აკადემიური არ ამიღია, რაც შემეძლო ფიზიკურ შესაძლებლობებს ვგულისხმობ, ემოციურს და მენტალურს, რაც შემეძლო ვმეცადინეობდი."*

დასაქმება

განათლების მსგავსად, დასაქმებასთან მიმართებაშიც აქტიურად მოქმედებდა გენრედული სტერეოტიპები. ქალებისთვის სახლის გარეთ დასაქმება არ იყო აღქმული ნორმალურ მოვლენად. სახლის შიგნით გოგოები უმძიმეს შრომას ასრულებდნენ და ოჯახის წევრები ზოგ შემთხვევაში ღიად უპირისპირდებოდნენ მათ დასაქმების საკითხთან დაკავშირებით.

სამი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მათ სწავლასთნ და სამსახურთან დაკავშირებით პრობლემა არასოდეს ჰქონიათ. ერთ-ერთი მათგანი სკოლის პედაგოგია, ორი კი - ექიმი-

სტომატოლოგი. ხსენებული პროფესიები კი სტერეოტიპულად ქალისთვის მისაღებადაა მიჩნეული.

რესპონდენტების დიდი ნაწილი საუბრობს თვითშეფასების დაქვეითებაზე იმის გამო, რომ ხანგრძლივი პაუზა ჰქონდათ სწავლის დასრულების შემდეგ. ისინი წლების განმავლობაში ასრულებდნენ მხოლოდ საოჯახო საქმეს და არ ჰქონდათ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა. ეს გარემოებები უჩენდათ შიშებს, რომ მათ აღარ აქვთ სწავლის უნარი, განსხვავებული ამოცანების შესრულების შესაძლებლობა და ოჯახის გარეთ გადარჩენის შანსი.

აღსანიშნავია, რომ კარიერული წარმატება სერიოზული გარღვევა იყო გოგოებისათვის, რათა დაებრუნებინათ საკუთარი თავის რწმენა. თუმცა, ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ დღემდე აქვს თვითშეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები; მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ წარმატებულები არიან.

„დავიწყე მუშაობა. სამი თვის ხელფასით ვუყიდე ჩემ შვილებს სკოლისთვის ყველაფერი. მაშინ მივხვდი, რომ მე, როგორ ვთქვა… მაშინ ჩავხედე სიმართლეს თვალებში და ჩემი თავის ძალა დავინახე. ჩემი თავის პატივისცემა ვისწავლე უფრო სწორედ. დ.-ს (ქმარი) გარეშე… მეგონა, თუ არ იქნებოდა ჩემთან, მოვკვდებოდი, მშიერი ვიქნებოდი. იმიტომ, რომ მე ვიყავი არასრულფასოვანი, მე ვიყავი ნული. მე მეგონა, რომ არ შემეძლო არც მუშაობა, არც ლაპარაკი, არც კეთება, არც ხალხთან ურთიერთობა. ასეთი მეგონა ჩემი თავი.” (რ.ც.)

კვლევაში მონაწილე ქალების უმრავლესობა მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ საშინაო საქმეს ასრულებდა და ოჯახის წევრების მოვლით იყო დაკავებული. ამას ემატებოდა ის გარემოება, რომ მსგავსი ტიპის სამუშაობს ისინი ძალიან პატარა ასაკიდან ასრულებდნენ და არ ჰქონდათ შესაძლებლობა სხვა რეალობაში გამოეცადათ საკუთარი თავი. ამის გამო, მათ შექმნილი ჰქონდათ წარმოდგენა, რომ ეს არის ის ერთადერთი საქმე რისი კეთების უნარიც მათ გააჩნიათ: *„9 კლასი დავამთავრე მარტო. ერთადერთი, რაც ვიცოდი, რომ უნდა მეკეთებინა, ეს იყო ლაგება, ბავშვების გაზრდა. მერე უკვე სამსახურში რომ გავედი, მივხვდი, რომ ძლიერი ვარ, მეც შემიძლია ხალხთან ურთიერთობა, თურმე მეც შემიძლია რაღაც სასარგებლო გავაკეთო და განვვითარდე,*

პირველ რიგში. მაგრამ მე ძალიან დავიგვიანე განვითარება. მე რომ ჩემ თავში ვყოფილიყავი თავდაჯერებული, უფრო სხვანაირად ვიცხოვრებდი. ფიზიკურადაც ძალიან ცუდს ვფიქრობდი ჩემზე და გონებრივადაც." (რ.ც.)

დღეისათვის ყველა ჩემი რესპონდენტი დასაქმებულია და დამოუკიდებლად ახერხებს საკუთარი თავის და ოჯახის საჭიროებების უზრუნველყოფას. თუმცა, ბევრმა მათგანმა დასაქმება შეძლო ან განქორწინების, ან ქორწინებიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგ. როგორც აღვნიშნე, ზოგიერთ შემთხვევაში მათ ახალი პროფესიის დაუფლება მოუწიათ.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გოგოებს დაოჯახების მომენტისთვის უკიდეურესად მწირი ცოდნა ჰქონდათ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ხშირ შემთხვევაში, ეს ინფორმაცია წარმოადგენდა მითს და არ შეესაბამებოდა რეალობას. ამგვარად აფასებენ ისინი თავად, საკუთარ ცოდნას დღევანდელი გადასახედიდან. საბაზისო ინფორმაციის არქონის გამო, მათ ექმნებოდათ მრავალი პრობლემა. მათ შორის სქესობრივი კონტაქტის დამყარების პროცესში. *„ეს ჩემთვის კიდე ცალკე სტრესი იყო. ექვსი თვის შემდეგ მოხდა ჩვენი კავშირი. ისეც იყო ძალიან დიდ სტრესთან, შოკთან დაკავშირებული. მანამდე რაღაც მცდელობები იყო, ერთად გვეძინა, რაღაცა… მაგრამ ტკივილები მქონდა ძალიან დიდი და სრულყოფილი სექსი ვერ შედგა."*- ამბობს ერთერთი რესპონდენტი.

მსგავსი პრობლემების არსებობის შესახებ კიდევ სამი რესპონდენტი მესაუბრა ინტერვიუს ჩაწერის დასრულების შემდეგ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ არცერთი კითხვა მათ პირად გამოცდილებას პირდაპირ არ შეეხებოდა და მათ თავად ისურვეს აღნიშნულ თემაზე საუბარი.

რაც შეეხება ცოდნას სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, კონტრაცეფციაზე, ორსულობასთან დაკავშირებულ რისკებზე და აბორტზე, მათ ამ მიმართულებით ინფორმაციის კიდევ უფრო დიდი დეფიციტი ჰქონდათ. ცოდნა შეიძინეს პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე, ასაკის მატებასთან ერთად. აბორტთან დაკავშირებით

რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ის კონტრაცეფციის ერთ-ერთ ფორმად მიაჩნდათ. ზოგიერთ მათგანს ექიმთან წასვლაც კი არ შეეძლო დამოუკიდებლად. *„ექიმთან დედის თანხლებით მივდიოდი ყოველთვის იმიტომ, რომ მე არაფერი მესმოდა და დედას უნდა მოესმინა, თუკი რაიმე პრობლემა მქონდა." (მ.ლ.)*

არასრულწლოვან გოგოებს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნათ ორსულობის დროს და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ჭარბი წონა (30 კგ. მატება), სისხლძარღვოვანი პათოლოგიები, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, სამშობიარო გართულებები - ის ძირითადი პრობლემებია, რომლებზეც ქალები საუბრობენ. ხსენებულმა გართულებებმა, თავის მხრივ, სხვა პრობლემები გამოიწვია. გამოკითხულთაგან სამი რესპონდენტის სიცოცხლეს მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნა და რამდენიმე კვირის განმავლობაში საჭიროებდნენ თერაპიას რეანიმაციულ განყოფილებაში. ორ მათგანს გაკეთებული აქვს საშვილოსნოს ექსტირპაცია (ამოკვეთა). ორ რესპონდენტს აღენიშნება სისხლძარღვების ქრონიკული დაავადება, რაც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მათი მხრიდან მოითხოვს მედიკამენტოზურ მკურნალობას და ქირურგიულ ჩარევებს. ფიქსირდება ორსულობის სპონტანული შეწყვეტის სამი შემთხვევა, ნაყოფის დაღუპვა ორსულობის 36-ე კვირის ვადაზე, ასევე, ახალშობილის გარდაცვალება დაბადებიდან მე-7 დღეს.

„არ მოხდა ბუნებრივი მშობიარობა. 12 საათის განმავლობაში მტკიოდა და ბოლოს მითხრეს, რომ ბავშვის გულისცემა უარესდებოდა და მართლაც, ასფიქსიაში დაიბადა გ. სეფსისი დამემართა, რამაც გართულება გამოიწვია სერიოზული და 18 წლის ასაკში დამჭირდა საშვილოსნოს ამპუტაცია. აქ უკვე ყველაფერია ნათქვამი. სეფსისი იმიტომ მოხდა, რომ საკეისრო კვეთით გავაჩინე და საკეისრო კვეთის დროს ინფექცია შეიჭრა, რისი გამოვლინებაც დროულად არ მოხდა."(ხ.ქ.)

კიდევ ერთი რესპონდენტი გვიყვება საკუთარ ისტორიას, რომელიც გარდა იმისა რომ ძალიან მძიმე და ემოციურია, გვაჩვენებს რისკის მასშტაბებს, რომელიც წინაშეც ის აღმოჩნდა.

„8 თვის ორსული ვიყავი ზუსტად. მივდიოდი საავადმყოფოში. მაშინ აღმოაჩინეს, რომ ბავშვი დაღუპულია. ოღონდ იყო პირველი საათი. შეეძლოთ ეგრევე საკეისრო

გაეკეთებინათ და არ გააკეთეს. დამტოვეს მთელი ღამე. დილით დამაჩქარებელი გამიკეთეს, რომ მემშობიარა. ვინერვიულე. როგორია? ბავშვი მაინც ხო პლაცენტაშია და მოძრაობს. როგორც არ უნდა გეგონოს, რომ მკვდარია, ძალიან ისეთი ის არის… ნუ ვინერვიულე და წნევამ ამიწია. დამწევი რომ გამიკეთეს, ეგრევე მშობიარობა დამეწყო. რომ გავიდნენ პალატიდან, ვიგრძენი, რომ რაღაც სითხე მომდის. სისხლდენა დამეწყო და დამემართა სისხლის შეუდედებლობა. მაგ დროს ცილები ასულა 5 მთელზე და მაგან იცის ეგ. ერთი ხუთი საათი ვერ მიჩერებდნენ, მერე გამოიძახეს კატასტროფის ცენტრი. კათეტერი ჩამიყენეს ამ ადგილას (მკერდის ზემოთ მიმითითებს), რამაც კაპილარი გახეთქა და სისხლი ჩავიდა პლევრაში და ის გადაივსო და ფილტვები გამეთიშა. გამიკეთდა ოპერაცია. სადღაც თვენახევარი საავადმყოფოში გავატარე. საავადმყოფოდან რომ გამოვედი, ზუსტად ერთ კვირაში გამომიცხადა, რომ უნდა გამშორდეს, რომ სხვა მოყავდა ცოლად.”

ორ შემთხვევაში, გოგოებს ხელი არ მიუწვდებოდათ საჭირო სამედიცინო მომსახურებაზე. ერთ-ერთმა მათგანმა სახლში იმშობიარა, მეორემ კი პირველი კონსულტაცია გინეკოლოგთან ორსულობის მე-7თვეზე გაიარა და ექიმები დაგვინებული მიმართვის გამო, უარს ამბობდნენ მის აღრიცხვაზე და რეგისტრაციაში გატარებაზე.

რესპონდენტებთან სექსუალურ და რეპროდუქციულ საკითხებზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ გოგოებს არ ჰქონდათ მათთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა, რაც თავის მხრივ სხვა პრობლემების საფუძველი ხდებოდა. ამასთანავე, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისას თვალნათლივ გამოჩნდა, რომ გოგოების დიდ უმრავლესობას შეექმნა მნიშვნელოვანი ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც გამოწვეული იყო ადრეულ ასაკში ორსულობით და ინფორმაციის არქონით, რეპროდუქციული საკითხების შესახებ.

ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების პარალელურად, რესპონდენტების უმრავლესობა საუბრობს მძიმე დეპრესიაზე და ფსიქოლოგიურ პრობლემებზე.

პირადი განცდები

წლების შემდეგ, კვლევაში მონაწილე ქალების გარკვეული ნაწილი საკუთარ თავს ადანაშაულებს იმაში, რომ ასეთ ადრეულ ასაკში შექმნეს ოჯახი. ისინი აღნიშნავენ, რომ არ ჰქონდათ საკმარისი ცოდნა, ვერ ხვდებოდნენ, თუ რამდენად ცვლიდნენ საკუთარი ცხოვრების კურსს, ამიტომ მკვეთრად არ აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას, არასაკმარის წინააღმდეგობას უწევდნენ მომავალ მეუღლეს და საზოგადოებას. *„27 წლის შემდეგაც არ ვიცი, რამ გამოიწვია ჩემი თანხმობა მაშინ"* - ამბობს რესპონდენტი, რომელიც მომავალმა მეუღლემ მეორედ მოიტაცა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ქალები საუბრობენ, მშობლების სიმკაცრეა. მათი აზრით, მშობლებს რომ მათთვის მეტი თავისუფლება მიეცათ და ნაკლებად შეეზღუდათ, ისინი უკეთესად შეძლებდნენ მომავალი მეუღლის გაცნობას და შესაძლოა ქორწინებამდე საერთოდ არ მისულიყო საქმე. საბოლოო ჯამში, ისინი საკუთარ გადაწყვეტილებას და თანხმობას, რომელიც ხშირ შემთხვევაში პასიურად გამოიხატებოდა (*„მე არც ის მითქვამს, რომ ვრჩები და არც ის, რომ წამიყვანეთ."*), ხსნიდნენ იმით, რომ ქვეყანაში არსებული გაჭირვება და ერთფეროვნება ქორწინებას წარმოაჩენდა რომანტიკულ თავგადასავლად. რეალურად, ახალგაზრდებს მცდარი და შეუსაბამო წარმოდგენა ჰქონდათ ოჯახურ ცხოვრებაზე. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სინამდვილისთვის თვალის გასწორება მალევე შეძლეს, თუმცა ამ რეალობისთვის თავის დაღწევას მრავალი წელი მოანდომეს.

თავისუფლების და დამოუკიდებლად განვითარების შეზღუდვა, ჯანმრთელობის პრობლემები, განათლება და დასაქმება ის ძირითადი პრობლემებია, რომელზეც კვლევაში მონაწილე ქალები საუბრობენ. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, არის თავისუფალი დროის დეფიციტი. იმ გოგოებსაც კი, რომლებსაც ჰყავდათ დამხმარე და არ ჰქონდათ დამატებითი შეზღუდვები მეუღლის ან ოჯახის სხვა წევრის მხრიდან, ლიმიტირებულად ჰქონდათ დრო საკუთარი თავისათვის; ზოგი კი აღნიშნავს, რომ თავისუფალი დრო წლების განმავლობაში არ ჰქონია: *„თავისუფალი დრო არ არსებობდა საერთოდ. იმიტომ, რომ მე სახლში ძალიან დიდი შრომას ვდებდი. მე ვაკეთებდი ყველაფერს. ძალიან დაღლილი ვიყავი."* (ს.დ.)

თავისუფალი დროის არქონის მიზეზებს შორის სახელდება როგორც არსებული პასუხისმგებლობები და მოვალეობები, ასევე 90-იანი წლების საქართველოში არსებული საერთო ვითარება, რომელიც მძიმე ეკონომიკირ გაჭირვებასთანაა დაკავშირებული. რესპონდენტების საუბრიდან ირკვევა, იმ პერიოისათვის, თავისუფალი დროის მნიშვნელობაც განსხვავდება ჩვენი დღევანდელი წარმოდგენისაგან. *„თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, არ მქონდა. ძალიან იშვითად ვახერხებდი ჩემს მეგობრებთან შეხვედრას, სტუმრობას. ან ისინი მოდიოდნენ, ბავშვებთან ერთად. წელიწადში სამ-ოთხჯერ თუ მომიხერხებია. ბევრი ფაქტორი იყო ძალიან. ეკონომიკური სიდუხჭირე, დროის არქონა, მე ჩემი პრობლემები მქონდა. ის, რომ გავთხოვდი ადრეულ ასაკში, პატარა შვილი მყავდა, სტუდენტი ვიყავი, ისედაც სახლიდან ხშირად მიწევდა გასვლა.” (ქ.ძ.)*

როგორც აღვნიშნეთ, გოგოების უმრავლესობა ძალიან მალე აცნობიერებდა რეალობას. მათ ერთდროულად უჩნდებოდათ სინანულის, დანაშაულის და უსუსურობის შეგრძნება, რაც წლების განმავლობაში აყალიბებდა არასრულფასოვნების განცდას და ნეგატიურად აისახებოდა მათ თვითშეფასებაზე. უმეტეს შემთხვევაში, გოგოები მარტო რჩებოდნენ საკუთარი პრობლემების წინაში, რადგან ის სირთულეები, რომელთა წინაშეც ისინი აღმოჩნდნენ, არ აღიქმებოდა პრობლემად საზოგადოების და მათი გარშემომყოფების მხრიდან.

5. დასკვნა

თეორიული მასალისა და კვლევის შედეგების გაანალიზებამ დადასტურდა ჩემი ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნა ნეგატიურად აისახა გოგოების/ქალების ცხოვრებაზე. აღნიშნულმა გამოცდილებამ, შეუქცევადი გავლენა მოახდინა და დრამატულად შეცვალა მათი განვითარების გზა. ნეგატიური შედეგების აღმოფხვრას მრავალი წელი დასჭირდა, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელი აღმოჩნდა.

კვლევსი შედეგად დადასტურდა, რომ ადრეული ქორწინების განმაპირობებელი მიზეზი კომპლექსურია. მასში აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ფაქტორები. სახელმწიფო ატარებდა ნაციონალისტურ პოლიტიკას, რომელიც გენდერული როლების რაციონალიზაციას ტრადიციების ჭრილში ადხენდა, საკუთარ მოქალაქეებს (დომინანტი ეთნოსის წარმომადგენლებს) გამრავლებისკენ მოუწოდებდა. რესპექტაბელურობის პრინციპების თანახმად გამრავლებსითვის ერთადერთ გზად პატრარქალური ოჯახი მიიჩნეოდა, რაც ასევე ერთდერთი ლეგიტიმური გზა იყო სექსუალური ურთიერთობებისათვის, რომელიც მკაცრად კონტროლდებოდა. ამ ვითარებაში სახელმწიფო პასიური დამკვირვებლის როლს იკავებდა ადრეული ქორწინების შემთხვევებში.

ტრადიციებისკენ მიბრუნება, ე.წ. „ქალიშვილობის ინსტიტუტი" და „მოტაცებულის" სტიგმა, მოქმედებდა როგორც გოგოების გადაწყვეტილებაზე, ასევე მათი მშობლების პოზიციაზე. ადრეულ ქორწინების ხელშემწყობ ფაქტორებად კვლევაში მონაწილე ქალების ასახელებდენ - მშობლების მკაცრი კონტროლისათვის თავის დაღწევას, რომანტიზებულ წარმოდგენებს ოჯახური ცხოვრების შესახებ და არსებული ერთფეროვანი ცხოვრებიდან გაქცევას. ამ უკანასკნელს, არაერთი რესპონდენტი „პრასვეტის" სახელით მოიხსენიებს.

კვლევის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, რომელიც ადრეულ ქორწინებით არის განპირობებული. საკვლევი ჯგუფის ასაკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა აღნიშნული პრობლემების დაკვირვება გრძელვადიან პერსპექტივაში. შეიკრა ერთგვარი ციკლი, პრობლემების გაჩენიდან მათ მოგვარებამდე, რაც ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა კვლევაში მონაწილე ქალებისათვის, როგორც ფიზიკურად ასევე ემოციურად.

არასრულწლოვანი გოგოები ოჯახს ქმნიდნენ პრაქტიკულად უცნობ ადამიანთან, უმეტესად საკუთარი ნების არარსებობის პირობებში და სათანადო ცოდნის გარეშე, რაც აუცილებელი იყო მათი ჯანმრთელობისათვის და სათანადო განვითარებისათვის. გოგოებს უხდებოდათ მძიმე საოჯახო საქმის, შვილების მოვლის და განათლების პროცესის შეთავსება. რესპოდენტების აზრით, ამგვარი დატვირთვის ატანა მათთვის

შეუძლებელი იყო და უწევდათ კომპრომისზე წასვლა, რაც გულისხმობდა არჩევანის გაკეთებას სწავლასა და საკუთარი მოვალეობების შესრულებას შორის. ყველა, ვისაც ჰყავდა დამხმარე პირი, დედის ან დედამთილის სახით, არჩევანს განათლების გაგრძელებაზე აკეთებდა, რადგან სწორედ განათლება მიაჩნდათ არსებული რთული ვითარებიდან გამოსავლის გზად.

გოგოებს მრავალი წლის განმავლობაში არ გააჩნდათ საკუთარი შემოსავალი და მუდმივად იმყოფებოდნენ ოჯახის სხვადასხვა წევრების კონტროლის ქვეშ. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ადრეული ქორწინების გამო, მათ რეალურად არასოდეს ჰქონიათ დამოუკიდებლად ცხოვრების და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ქალების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ აქვთ დაბალი თვითშეფასება. მათ დღემდე უჭირთ დამოუკიდებლად, თამამად და თავისუფლად გადაწყვეტილებების მიღება, რასაც ძალიან მტკივნეულად განიცდიან და დიდ პრობლემად მიიჩნევენ. რესპონდენტები, რომელთა საშუალო ასაკი 40 წელია, ამ უნარების გამომუშავებაზე დრემდე მუშაობენ.

ადრეული ქორწინების საკითხის კვლევისას გამოიკვეთა, რომ საკუთარ წარსულზე და უფლებების დარღვევის ფაქტებზე საუბრისას მონაწილეთაგან არც ერთი ქალი არ აღნიშნავს სახელმწიფოს როლს. ისინი საუბრობენ საკუთარ შეცდომებზე, მშობლების დამოკიდებულებაზე, მეუღლის როლზე, თუმცა ინტერვიუებში არ გაჟღერებულა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადრეული ქორწინების პრობლემაზე პასუხისმგებელი არის სახელმწიფოც, რომლის ვალია, დაიცვას არასრულწლოვანი მოქალაქეების უფლებები. წარსულში, როდესაც ხდებოდა გოგოს მოტაცება და თავისუფლების აღკვეთა, მშობლებს სამართალდამცავი ორგანოებისთვის არც ერთხელ არ მიუმართავთ. კვლევაში მონაწილე ქალები არც ახლა და არც წარსულში სახელმწიფოს არ განიხილავდნენ პასუხისმგებელ სუბიექტად ადრეულ ქორწინებასთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული ნაციონალისტური იდეოლოგია და დომინანტური დისკურსი წამყვან როლს ასრულებდა ადრეული ქორწინების წახალისების საკითხში. ამასთანავე, აღსანიშნავია იმდროინდელი სახელმწიფოს უმოქმედობა, რომელიც არასრულწლოვანი გოგოების მიმართ ჩადენილ დანაშაულს (მოტაცება) და მათი უფლებების დარღვევას საერთოდ ვერ ამჩნევდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108 მუხლის თანახმად (კოდექსი, 2017), 18 წლამდე ქორწინება 2017 წლის პირველი იანვრიდან კანონით დასჯადი ქმედებაა. დღეისათვის საზოგადოებას უკეთესად აქვს გაცნობიერებული ადრეული ქორწინებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, თუმცა, ამ პრობლემის აღმოფხვრა მაინც ვერ ხერხდება. 2017 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დღესაც, 20-24 წლის ასაკის ქალთა 14 პროცენტმა ოჯახი 18 წლამდე ასაკში შექმნა. აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ პრობლემები, რომლებიც წარსულში ჰქონდათ გოგოებს, ისევ აქტუალურია - განათლების უფლების შეზღუდვა, ადრეულ ასაკში ორსულობით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები, დასაქმების პერსპექტივის და სოციალური კავშირების შემცირება ისევ აქტუალურ პრობლემებად რჩება. დღემდე ქორწინებამდე სექსუალური კავშირები შეზღუდულია და ერთადერთ ლეგიტიმურ გზად ქორწინება რჩება. გოგოებს არ გააჩნიათ ფინანსების განკარგვის შესაძლებლობა და ვერ ახერხებენ საოჯახო საქმის და განათლების პროცესის შეთავსებას (UNFPA, 2018).

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობის გარდაქმნა არსებითად არ ცვლის იმ პრობლემების სიას, რომელიც ადრეულ ქორწინებასთანაა დაკავშირებული და დაოჯახების შემთხვევაში, გოგოები დღესაც დაახლოებით იგივე რეალობასთნ აწყდებიან, რასაც 90-იან წლებში დაოჯახებული არასრულწლოვანი გოგოები. ძველ გამოცდილებაზე დაკვირვება კი იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ შევაფასოთ, რა გზებით შეძლეს კვლევაში მონაწილე ქალებმა საკუთარ გამოწვევებთან გამკლავება, რა პერიოდი დასჭირდა ამას და რამდენად მოხერხდა შედეგების სრულად აღმოფხვრა.

კვლევის რესპონდენტები ცხოვრების ციკლზე დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ, რომ ზოგ შემთხვევაში მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად ქალებმა შეძლეს საკუთარი ცხოვრებისთვის მიმართულების შეეცვალათ, თუმცა აღნიშნავენ, რომ სრული რეაბილიტაცია ბევრმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა და მიიჩნევენ, რომ წარსულის ნეგატიური გამოცდილებისგან მთლიანად გათავისუფლებას ვერასოდეს შესძლებენ.

ჩემი კვლევის რესპონდენტებს აქვთ პასუხი ორ მნიშვნელოვან კითხვაზე, ესენია: რას შეეძლო დაეცვა ისინი ადრეული ქორწინებისაგან და რა გზებით უმკლავდებოდნენ ისინი შექმნილ რეალობას? ამ კითხვებზე პასუხი არ არის ცალსახა და უნივერსალური, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელი პრობლემები წარსულის გამოცდილებასთან ძალიან ახლოსაა, ვვარაუდობ, რომ ამ ცოდნის გავრცელაბას და გაანალიზებას შეუძლია როგორც პრევენციული ფუნქციის შესრულება, ასევე იმ გოგოების დახმარება და გაძლიერება, რომლებმაც ახლო წარსულში შექმნეს ოჯახი, არიან არასრულწლოვანები და ამჟამად, საკუთარ ოჯახებში იბრძვიან უფლებებისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად მიმაჩნია, რომ სასურველია გაგრძელდეს ჩემს მიერ შერჩეული სამიზნე ჯგუფის სიღრმისეული კვლევა და მოხდეს ჩატარებული კვლევის შედეგების გაცნობა ადრეული ქორწინების საკითხით დაიტერესებული ორგანიზაციებისათვის. ამასთანავე, მიმაჩნია, რომ მსგავსი კვლევის შედეგების ასახვა სასარგებლო იქნება ქალთა გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიებში.

მიმაჩნია, რომ კვლევაში მონაწილე თითოეული მონაწილე არის ცოცხალი მაგალითი და სახელმძღვანელო, იმისა, თუ როგორია რეალურად ადრეულ ასაკში ქორწინება. მათ მიერ განვლილი გზა არის სავსე წინააღმდეგობით, ძალადობით, გაჭირვებით და ძალიან ძნელად აღმოსაფხვრელი შედეგებით. ხშირ შემთხვევაში, ჩემი რესპონდენტები თავიანთი ასაკისათვის შეუფერებელ ბრძოლაში ერთვებოდნენ მარტო და წართმეული უფლებების აღდგენისათვის უწევდათ ისე დაებალანსებინათ საკუთარი ქმედებები, რომ ზიანი არ მიეყენებინათ შვილებისათვის, გაეთვალისწინებინათ მშობლების პოზიცია და ამავდროულად, დარჩენილიყვნენ „კარგ ქალებად.” ამგვარი სტრატეგიის შედეგად, ბევრმა ჩემმა რესპონდენტმა არასასურველ ურთიერთობებს მხოლოდ 15-20 წლის შემდეგ დააღწია თავი. დღეს ბევრი მათგანი ამბობს, რომ წარსული რჩება ტრავმულ მოცემულობად, რომელსაც ისინი ბოლომდე ვერასოდეს დააღწევენ თავს.

ბიბლიოგრაფია

ზერაია, ა. (2017). *ნაციონალიზმი და ჰეგემონური მასკულინობა პოსტსაბჭოთა საქართველოში.* თბილისი: სტამბა დამანი.

კოდექსი, ს. ს. (2017 წლის 1 January). *https://matsne.gov.ge*. Retrieved 2018 წლის 1 July from https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702#!: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702#!

Alwis, R. d. (2007). *CHILD MARRIAGE AND THE LAW.* NEW YORK: UNICEF.

Berget, L. B. (2001). *Qualitative Reaserch Metods for the Social Sciences.* Long Beach: California State University.

Brooks, A. (2011). Thousand Oaks: SAGE Publications.

Brooks, A. (2011). *Feminist Standpoint Epistemology: Building Knowledge and Empowerment Through Women's Lived Experience.* Thousand Oaks: SAGE Publications, Inc.

Brooks, A., & Hess-Biber, S. N. (2011). *An Invitation to Feminist Research.* Thousand Oaks: SAGE Publications, Inc.

Brooks, A., & Hess-Biber, S. N. (2011). *An Invitation to Feminist Research.* Thousand Oaks: SAGE Publication.

Foucault, M. (1978). *The History of Sexuality* (Vol. 1). New York: Pantheon Books New York.

Fraser, N. (1997). *After the family wage: A postindustrial thought experiment .* LONDON, UK: Taylor & Francis Ltd.

Gal, S., & Kligman, G. (2000). *The Politics Of Gender After Socialism.* Princetone, NJ, USA: Orincetone University Press.

Hesse-Biber, A. B. (2007). *An Invitation to Feminist Research.* Thousand Oaks: SAGE Publications, Inc.

Keller, R. (2013). *Doing Discourse Research: An Introduction for Social Scientists.* London: SAGE Publications Ltd.

Leavy, P. (2014). *Oxford Handbook of Qualitative Research.* New York: Oxford University Press.

Lyon, T. R. (2007). *Living Gender After Communism.* (J. E. Robinson, Ed.) Bloomington, IN: Indiana University Press.

McClintock, A. (2003). *Family Feuds: Gender, Nationalism and the Family.*

Mosse, G. L. (1985). *Nationalism and Sexuality.* WI: The University of Wisconsin Press.

Nagel, J. (1998). Masculinity and nationalism: gender and sexuality in the making of nations. 243-261.

Prior, L. (2014). *The Oxford Handbook of Qualitative Research.* (P. Leavy, Ed.) New York, NY, USA: Oxford University Press.

Saldana, J. (2003). The coding manual for Qualitative research. *SAGE Publication* , 118-122.

Taylor, S. (2000). *Mothering the Fatherland.* University of Canterbury.

UNFPA. (2018 წლის 18 April). *http://georgia.unfpa.org/ka/news.* Retrieved 2018 წლის 10 June from unfpa.org.

UNICEF. (2018 წლის June). *https://data.unicef.org*. Retrieved 2018 წლის 12 July from unicef.org: https://data.unicef.org/topic/child-protection/child-marriage/

Verdery, K. (1994). From Parent State to Family Patriarchs: Gender and Nation In Contemporary Eastern Europe. *East European Politics and Societies , 8* (2), 225-255.

Werner, C. (2009). Bride abduction in post-Soviet Central Asia: marking a shift towards patriarchy through local discourses of shame and tradition. *Journal of the Royal Anthropological Institute* , 314-331.

Yuval-Davis, N. (1997). *Gender & Nation.* London: SAGE Publications.

დანართი #1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Gvantsa Kvinikadze

Underage Girls Merried in 1990s Georgia and their current challenges

Gender Studies

In partial fulfillment for the degree of MA in Gender Studies

Supervisor: Lia Tsuladze, Ph.D. in Sociology, associate professor

Tbilisi, 201

დანართი #2

Annotation

Underage Girls Married in 1990s Georgia and their current challenges

My Master paper is concerned with researching the early marriage problem in 1990s Georgia. The goal of the research was to study marriage influence on underage girls lives. Also, I have studied the main reasons, which were creating preconditions and were influencing young people to start a family. In the frame of the research, I have studied what knowledge girls had about sexual and reproductive health and rights, how they faced new challenges and what was their way of coping with stress. Besides, I was interested in if they had access to education, employment, self-realization and independence. The research gave me the opportunity to observe a variety of problems that girls faced in the past and also, how they overcame those problems.

The paper is based on results of the qualitative research and indicates that there were cases of basic human rights violation in the families created by young people. The underage girls experienced domestic violence, did not have access to education and were later followed by employment problems. The research participants had severe health complications, in some cases life threatening ones. Underage girls could not escape unwanted, violent relationships and had to stay in marriage against their wills.

In the frame of this research, I had chance to observe how early marriage affected young girs, how they dealt with problems and what is their reflection on the past.

At the end of this research I have made recommendations, regarding further research of the above-mention group to explore other violations. Also, I recommend using the results of this research and studied experience in programs to raise awareness and make this data accessible to groups working on early marriage issues.